კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№50 (1640) 21 — 27 დეკემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

საქართველოს სტრატეგიული ფუნქცია და ქვეყნის ევროპული დანიშნულება — ელექტროენერგიის ჰაბი

ევროპა სამხრეთ კავკასიის რეგიონს შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტით დაუკავშირდება

„ერთ-ერთ ჩანჩურას თავიც კი მოუწონებია, ცოტნე გამსახურდია ავჩეხეო“

როგორია პირველი პრეზიდენტის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა თავდასხმიდან სამი წლის შემდეგ და რა სიახლეებია კოლხური კოშკის დავაზე

„როცა თავდამსხმელი საკუთარ სახლში გაშლილი დანით მოსაკლავად შემოგივარდება, თავი უნდა დაიცვა“

რას ჰყვება ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე გახმაურებულ საქმეზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მიშა, სტალინი, წითელი ტილები და შოკისმომგვრელი პოლიტიკური ოკულტიზმი

რატომაა რიცხვი 21 საქართველოსთვის საკრალური

მიშა, სტალინი, წითელი ტილები და შოკისმომგვრელი პოლიტიკური ოკულტიზმი

ნინო დოლიძე

რატომაა რიცხვი 21 საქართველოსთვის საკრალური

დღეს 21 დეკემბერია. ეს რიცხვი საქართველოსთვის ერთგვარად საკრალურია. რატომ? – ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბროთ. მანამდე კი 21-ის კარმული აურა გავარკვიოთ. მოკლედ, ნუმეროლოგიის თანახმად (ნუმეროლოგია მეცნიერების შედარებით ახალი მიმდინარეობაა) რიცხვ 21-ის შემადგენელ ციფრებს მთვარე და მზე მფარველობს. საინტერესოა ცალკე აღებული 1-ისა და, ასევე, 2-ის ანატომია. საერთოდ, ერთი (1) რიცხვთა მიმდევრობის გვირგვინია და, როგორც ქართველი ოკულტისტი და მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი განმარტავს, ღმერთიც ერთია. შესაბამისად, რიცხვი ერთი, შესაძლებელია ყველგან და ყველაფერში დავინახოთ ანუ ერთში მრავლადაა მზის ენერგია. მეტიც, რიცხვი ერთი მხოლოდ თვითგანვითარების საშუალებას კი არ იძლევა, არამედ, გრძნობებს ამძაფრებს და აკმაყოფილებს.

რიცხვი 2 ანტაგონიზმს ნიშნავს ანუ რიცხვი ორი ის ენერგიაა, რომელსაც სამყაროში არსებული წინააღმდეგობათა ერთიანობა ქმნის. ამასთან, რიცხვი ორი სიბრძნეცაა, ესე იგი, ესმის, ან საუკეთესო შემთხვევაში, ცდილობს, გაიგოს, რატომ ხდება ყველაფერი ისე, რაც და როგორც ხდება. შესაბამისად, იმაზე, თუ რატომაა 21 საქართველოსთვის საკრალური, პასუხისმგებელი სწორედ რიცხვი ორია. დიახ, 21-მა უხვად „მოგვიტანა სისხლი და ცრემლები“. ყველაფერი კი მე-20 საუკუნის მეორე ათასწლეულში, კერძოდ, 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყო.

წითელი ტილი

როცა რიცხვ ორის პოლიტიკურ კომბინაციაზე ვმსჯელობთ, გვინდა თუ არა, რამდენიმე ის პიროვნებაც გვახსენდება, რომელმაც პოლიტიკური ღმერთებისა თუ პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილი ანგელოზების ხელშეწყობით, მეოცე საუკუნესა და 21-ის დასაწყისში (და ისევ საბედისწერო 21!) ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები იგდო! ამ მხრივ, ბუნებრივია, იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი (სტალინი) და მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი უნდა გამოვყოთ. მართალია, ქრისტესშობის 21-ში დაბადების დღეს სხვა პოლიტიკოსებიც აღნიშნავენ (მაგალითად, ირაკლი ალასანია, ნიკა მელია და სოსო მანჯავიძე), მაგრამ პოლიტიკურ ოკულტიზმში მათი როლი თუ ფუნქცია, სტალინ-სააკაშვილთან შედარებით, ნულის ტოლია!

ისე, არსებობს ინფორმაცია, რომ პროლეტარიატის გორელი ბელადი 21-ში კი არა, სინამდვილეში, 6 დეკემბერს დაიბადა, თუმცა გიორგი გურჯიევის რეკომენდაციით, დაბადების მხოლოდ წელი კი არა, თვის რიცხვიც შეიცვალა. შესაბამისად, საბჭოთა პროლეტარები ბელადის დაბადების დღეს ყოველი წლის 21 დეკემბერს აღნიშნავდნენ.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, გორელმა კობამ დაბადების თარიღი მართლა გიორგი გურჯიევის რეკომენდაციით შეიცვალა, თუ უბრალოდ, ამ კომბინაციით პოლიტიკურ ალქაჯებს თავგზა აუბნია, მაგრამ ფაქტია: ყველაფერმა ამან სტალინი ვერ გააკეთილშობილა და ის ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე პირსისხლიან გენიად დარჩება, თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გორელი მეწაღის შვილი უნიჭო ნამდვილად არ იყო. უნიჭო რომ ყოფილიყო, ბუნებრივია, მე-20 საუკუნის მსოფლიოში, ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიას ვერ შექმნიდა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

უნიჭობას ვერც საქართველოს პრეზიდენტყოფილს დავწამებთ. ახლა, მიხეილ სააკაშვილი, შეიძლება, სტალინისდარი გენია არაა, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკის ვარსკვლავია. ვარსკვლავი, რომელიც კი არ ანათებს, არამედ, წვავს!

დიახ, სააკაშვილმა ყველა და ყველაფერი, ან თითქმის ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც მის გარშემო იყო, დაწვა, საუკეთესო შემთხვევაში, განადგურების პირას მიიყვანა.

მოკლედ, უტრირებულად რომ ვთქვათ, სტალინსა და სააკაშვილს მხოლოდ რიცხვი 21 კი არა, კიდევ ის „აერთიანებთ“, რომ ორივე, როგორც მმართველი, „ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკას“ ატარებდა. შეიძლება, ეს ვინმეს უბრალო დამთხვევად მოეჩვენოს, მაგრამ თუკი მსჯელობას პოლიტიკური ოკულტიზმის ჭრილში გავაგრძელებთ და ორივეს ბიოგრაფიასაც სკრუპულოზურად გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მათ, 21-ის გარდა, სხვა ბევრი საერთოც აქვთ...

21-ის ანატომია

21-ის ნუმეროლოგიური კვლევა ნათელჰყოფს, რომ ამ რიცხვში დაბადებულებს დიქტატურისკენ აქვთ მიდრეკილება. საერთოდ, 21, როგორც პოლიტიკური ოკულტიზმის სპეციალისტები ამბობენ, ემოციური რიცხვია ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, „ოცდაერთიანელებისთვის“ მხოლოდ სულიერი კი არა, ფიზიკური სიახლოვეც აუცილებელია, თუმცა ისინი, რომლებიც ბედისწერამ 21-თან დააკავშირა, თურმე, საშუალო სექსუალურობით გამოირჩევიან. ზოგი ფსიქოლოგის აზრით, ადამიანის ნებისმიერი ქმედების ფარული მოტორი სწორედ მისი სექსუალური ცხოვრებაა. ეს შეიძლება, ზერელე შეხედულებაა, მაგრამ ამბობენ იმასაც, რომ მათ, რომლებმაც მსოფლიოს თავი სხვადასხვა საშინელებით დაამახსოვრეს, სწორედ სექსუალური პრობლემები აღენიშნებოდათ.

ავიღოთ, მაგალითად, ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი, იგივე ლენინი, რომელსაც ათეულობით წლებია, მიწაც არ ეღირსა. მართალია, ამის თაობაზე კომუნისტურ საზოგადოებაში სიტყვას არავინ ძრავდა, მაგრამ ხალხური მითოსის თანახმად, ილიჩს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ჰქონდა. ამბობენ იმასაც, რომ ლენინი ბავშვობაში საკუთარი მამინაცვლის ძალადობის მსხვერპლი გახდა. ყველაფერი ეს, შესაძლოა, უბრალოდ, ბოროტი ხმაა, მაგრამ ფაქტია: ადამიანს, რომელსაც მილიონობით ადამიანი გარდაცვალების მერეც ეთაყვანებოდა, სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

კიდევ ერთი „ამოუხსნელი საიდუმლო“, რომელიც ლენინს უკავშირდება, მისი გარდაცვალებაა. ჩვენ, ყველას, ბავშვობაში გვასწავლიდნენ, რომ „ძია ლენინი“, რომელსაც ბავშვები უყვარდა და რომელმაც გვიანდერძა, სწავლა, სწავლა და სწავლაო, ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა, თუმცა დღემდე მუსირებს აზრი, რომ ულიანოვის გარდაცვალების მიზეზი ათაშანგი გახდა.

ისე, ალბათ, სიმბოლურია, რომ ლენინის დაბადების თარიღშიც ურევია რიცხვი ორი – „არშემდგარი წითელი ანგელოზი“ დედამიწას 22 აპრილს მოევლინა. ყველაზე საკრალური კი ისაა, რომ ლენინი 21-ში გარდაიცვალა. მაშასადამე, ისევ პოლიტიკურ ოკულტიზმსა თუ მეტაფიზიკასთან მივდივართ, რომელიც გვიბიძგებს, დავასკვნათ, რომ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული...

ეს კავშირი კი, მართლაც, გამაოგნებელია:

ის, ვინც, ლენინის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის სათავეში ექცევა ანუ სტალინი, 21-შია დაბადებული.

ლენინი პოლიტიკურ ღმერთებსა თუ დემონებს სულს 21-ში აბარებს...

მიხეილიც 21-ში იბადება, სააკაშვილი...

21 დეკემბრის ქრონიკა კი ასეთია:

მსოფლიოში პირველი კროსვორდი, სწორედ 21 რიცხვში დაიბეჭდა...

სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ პრემიერა 21-ში გაიმართა.

კენედის კოსმოსური ცენტრიდან პირველი პილოტირებული ხომალდი „აპოლო 8“ 21-ში აფრინდა...

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტზე ჟენევის კონფერენცია 21-ში გაიხსნა.

დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 21-ში გამოცხადდა და შესაბამისად, საბჭოთა კავშირმაც არსებობა 21-ში შეწყვიტა...

მაიას კალენდრით, ე.წ. გრძელი ციკლი 21-ში სრულდება...

21-ში დაიბადნენ: იტალიელი მხატვარი მაზაჩო, გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი, ჩინეთის პრეზიდენტი ჰუ ძინტაო, ვირტუოზი გიტარისტი პაკო დე ლუსია...

21-ში გარდაიცვალნენ: იტალიელი მწერალი ჯოვანი ბოკაჩო, ინგლისელი ექიმი ჯეიმს პარკინსონი, თურქმენეთის დიქტატორი საფარმურატ ნიაზოვი...

დასასრული მე-4 გვერდზე

მიშა, სტალინი, წითელი ტილები და შოკისმომგვრელი პოლიტიკური ოკულტიზმი

მე-2 გვერდიდან

21-ში მართლმადიდებელი ეკლესია არაერთი წმინდანის ხსენების დღეს აღნიშნავს...

21-ის ფერად რუხი და თეთრი ითვლება...

21-ის ქვა მარგალიტია.

21-ის „სუსტი წერტილი“ კუჭ-ნაწლავია.

„ოცდაერთიანელები“, როგორც ნუმეროლოგია მოწმობს, უმეტესად წარმატებულები, ნიჭიერები და ენერგიულები არიან, თუმცა ნებისყოფის სიმტკიცითა და საკუთარი თავის რწმენით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან.

სტალინიდან სააკაშვილამდე

21-ის ოკულისტური ანალიზით კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება ანუ ადამიანები, რომლებსაც ამ რიცხვთან გარკვეული შეხება აქვთ, უმეტესად, სპეცსამსახურების მსხვერპლნი ხდებიან, რასაც, სხვა თუ არაფერი, სტალინისა და მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფიებიც მოწმობს.

ახლა, სააკაშვილის სპეცსამსახურულ ბეგრაუნდზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. ზოგისთვის ამ თემაზე ლაპარაკი, უბრალოდ, დროის ფუჭად ხარჯვაა, თუმცა მოგეხსენებათ, ეშმაკები დეტალებში სხედან. ჰოდა, „ოცდაერთიანელი“ მიშას ბიოგრაფიაშიც სწორედ ეს დეტალებია საყურადღებო.

2013 წლის ვარდობისთვის მიწურულს, მწერალმა და უფლებადამცველმა ირაკლი კაკაბაძემ სოციალურ ქსელში შემდეგი ინფორმაცია განათავსა:

„საქართველოს მოსახლეობას აქვს უფლება, რომ იცოდეს მისი პრეზიდენტის ბიოგრაფია მთლიანად და შელამაზების გარეშე. მიშა სააკაშვილი გულმოდგინედ მალავს თავის ურთიერთობას საბჭოთა „კა-გე-ბე“-სთან, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. ის არასდროს ლაპარაკობს იმაზე, რომ 1980-იან წლებში, საბჭოთა მზვერავების სკოლაში სწავლობდა და „კა-გე-ბე“-ს ჯარში ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. არადა, ეს ინფორმაცია ჟონავს. მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს ამ ტიპის სრული ბიოგრაფია და ახლა, როცა მისი მომხრეები აქეთ სხვებს ადანაშაულებენ ათას რამეში, საზოგადოებამ უნდა განსაჯოს – ამ ბიოგრაფიის კაცს რამდენად შეუძლია, რომ იყოს პოლიტიკაში, საქართველოში. ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, მათ შორის, 2008 წელს, მიშას მიერ საქართველოს მეხუთედის ჩუქებას რუსეთისთვის. ეს ახსნა მის ბიოგრაფიაშია“.

რაც შეეხება სტალინს, ვერ ვიტყვით, გორელი ბოროტი გენიოსი „კა-გე-ბე“-ს პროდუქტიაო, რადგან საბჭოთა სპეცსამსახურის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ბერიასთან ერთად, სწორედ იოსებ ჯუღაშვილი ითვლება, მაგრამ თუნდაც ვერსიის დონეზე, რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ჯერ კიდევ „დიდი ოქტომბრის სოციალისტურ“ რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე, პროლეტარიატის მომავალი ბელადი, რომელსაც იმხანად კობას ეძახდნენ, მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის უშიშროების ორგანომ გადაიბირა?

სხვათა შორის, არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც, იგივე 1917 წლის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების სპეცსამსახურებმა დაგეგმეს ანუ უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, რომანოვების წინააღმდეგ შეთქმულება წლების განმავლობაში მზადდებოდა და ბოლშევიზმის ყველა ან თითქმის ყველა თვალსაჩინო თუ მეტ-ნაკლებად უცნობი ლიდერი, როგორც რევოლუციონერი, სწორედ ბურჟუების ხელშეწყობით ჩამოყალიბდა.

ამავე კონტექსტში, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, რომელიც მსოფლიომ სტალინის სახელით გაიცნო, თავის დროზე, ესე იგი, სიყმაწვილეში ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო – ცნობილია, რომ კობა ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სწორედ ამ პერიოდში, ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების გავლენით, კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ვლადიმერ ლენინის, გეორგი პლეხანოვის შრომებს გაეცნო და რევოლუციურ მოძრაობაშიც ჩაება.

მოგვიანებით, ჯუღაშვილი „მესამე დასის“ წევრი გახდა და თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებში, ხელი მარქსისტული იდეების პროპაგანდას მიჰყო.

1899 წელს, მომავალი საბჭოთა ბელადი, სემინარიიდან სწორედ რევოლუციური მოღვაწეობისთვის გარიცხეს, რის შემდეგაც ცხოვრება არალეგალურად დაიწყო.

„სტალინი შედიოდა რსდმპ თბილისის, კავკასიის კავშირისა და ბაქოს კომიტეტების შემადგენლობაში, მონაწილეობდა გაზეთების – „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „ბაკინსკი პროლეტარიატი“, „გუდოკი“, „ბაკინსკი რაბოჩი“ გამოცემაში; იყო 1905-07 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე ამიერკავკასიაში. რსდმპ-ის შექმნის დღიდანვე, მხარს უჭერდა რევოლუციური მარქსისტული პარტიის განმტკიცების ლენინურ იდეას, იცავდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ბოლშევიკურ სტრატეგიას და ტაქტიკას, იყო ბოლშევიზმის მტკიცე მომხრე, აკრიტიკებდა მენშევიკებისა და ანარქისტების ოპორტუნისტულ ხაზს რევოლუციაში.

ასევე, იყო რსდმპ I კონფერენციის დელეგატი ტამერფოსში (1905 წელი), სადაც პირველად შეხვდა ვ.ი. ლენინს...

იატაკქვეშა რევოლუციური მოღვაწეობისთვის არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში.

1912 წელს, სტალინი რსდმპ სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის ცკ-ის სხდომაზე, დაუსწრებლად აირჩიეს და კოოპტაციით შეიყვანეს ცკ-ის რუსეთის ბიუროში.

1912-1913 წლებში, მუშაობდა პეტერბურგში, აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებთან – „ზვეზდა“ და „პრავდა“.

მონაწილეობდა რსდმპ ცკ-ის თათბირში, პარტიულ მუშაკებთან (კრაკოვი, 1912 წელი).

ამ პერიოდში დაწერა შრომა – „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელშიც გააშუქა ეროვნული საკითხის გადაჭრის ლენინური პრინციპები, გააკრიტიკა „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ოპორტუნისტული პროგრამა. ეს შრომა ლენინმა დადებითად შეაფასა.

1913 წლის თებერვალში, კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში“, – ნათქვამია ქართული „ვიკიპედიის“ ინფორმაციაში.

ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც ღმერთთან კავშირს გრძნობს, მოულოდნელად, პირწავარდნილი ათეისტი ხდება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ეკლესია-მონასტრების ნგრევას იწყებს, თუმცა დღემდე არსებობს მითი, რომ იოსებ სტალინი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ჭეშმარიტი მორწმუნე იყო. ამ კუთხით საყურადღებოა ინტერნეტპორტალ orthodoxy.ge-ზე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც მეორე მსოფლიო ომით იწყება და რომელშიც აღნიშნულია:

„ღვთის განგებით, რუსეთის მთავარ მლოცველად და მეგობრად ამორჩეულ იქნა მოძმე მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი მღვდელმთავარი ილია, ლიბანის მთათა მიტროპოლიტი. იგი კლდოვან ჯურღმულში ჩავიდა ღრმად, სადაც ვერ აღწევდა ქვეყნიური ხმაური და სადაც არ იყო არაფერი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის გარდა. მეუფე სწორედ იქ განმარტოვდა, რამდენიმე დღის განმავლობაში, არც საზრდო მიუღია, არც წყალი დაულევია, არც დაუძინია და განუწყვეტლივ ევედრებოდა ღვთის დედას, განმიცხადე, როგორ არის შესაძლებელი რუსეთის შეწევნაო. და აი, სამი დღე-ღამის შემდეგ ცეცხლოვან სვეტში თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მას და უთხრა: შენ, როგორც რუსეთის ჭეშმარიტი მეგობარი და მისთვის მლოცველი, არჩეული ხარ იმისთვის, რომ ღვთის განჩინება აუწყო ამ ქვეყანას. და თუკი ეს განჩინება არ შესრულდება, რუსეთი დაიღუპება. ეს საღმრთო განჩინება შემდეგში მდგომარეობდა: რუსეთის ხსნისთვის აუცილებლად უნდა გახსნილიყო მთელს ქვეყანაში ეკლესია-მონასტრები, სასულიერო სემინარიები და აკადემიები; ფრონტიდან დაბრუნებული და ციხე-ბანაკებიდან გათავისუფლებული მღვდლები, დიაკვნები და ეპისკოპოსები ღვთისმსახურებას უნდა შესდგომოდნენ; წმინდა პეტრეს ქალაქის ჩაბარება არ შეიძლებოდა: მის გადასარჩენად უნდა გადმოესვენებინათ ყაზანის ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატი და დიდებით, ჯვარით სვლით შემოეტარებინათ ქალაქის გარშემო; მაშინ ვერც ერთი მტერი ვერ შედგამდა ფეხს ნევის პირას მდებარე ამ ქალაქის მიწაზე; ყაზანის ხატის წინაშე მოსკოვშიც უნდა გადაეხადათ პარაკლისი. შემდეგ ხატი ვოლგისპირა ქალაქ ცარიცინში უნდა გადაესვენებინათ, რადგან არც ამ ქალაქის ჩაბარება შეიძლებოდა მტრისთვის; შემდეგ ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი რუსეთის საზღვრებამდე უნდა მიჰყვეს ჯარებს, ხოლო როცა ომი დასრულდება, მიტროპოლიტი ილია რუსეთში უნდა ჩავიდეს და ყველას მოუთხროს, თუ როგორ გადარჩა ეს ქვეყანა. ამ საკვირველი გამოცხადების შემდეგ, მეუფე ილია დაუყოვნებლივ დაუკავშირდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს, საბჭოთა მთავრობას და აცნობა მათ ღვთის განჩინების შესახებ.

სტალინმა გამოიძახა მიტროპოლიტი სერგი, მიტროპოლიტი ალექსი, სხვა მღვდელმთავრები და აღუთქვა, რომ შეასრულებდა ყველაფერ იმას, რაც მიტროპოლიტმა ილია მეორემ აუწყა. სანკტ-პეტერბურგის წმიდა ვლადიმირის საკათედრო ტაძრიდან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ყაზანის ხატი გამოასვენეს და დიდებით სვლით ქალაქის გარშემო შემოატარეს. ამის შემდეგ ფაშისტებმა, მართლაც, ერთი ბიჯიც ვერ წადგეს ნევისპირა ქალაქისაკენ, ხოლო ბლოკადა გარღვეულ იქნა საქართველოს განმანათლებლის, წმიდა მოციქულთა სწორი ნინოს ხსენების დღესასწაულზე...

1947 წელს, პირადად სტალინის მიწვევით, მიტროპოლიტი ილია რუსეთში ჩავიდა. მიტროპოლიტ ილიას მიართვეს ყაზანის ხატის ასლი, ძვირფასი ჯვარი და პანაღია, შემკული ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოტანილი პატიოსანი თვლით. მას სახელმწიფო პრემიაც მიანიჭეს, რაზეც სტუმარმა უარი განაცხადა“...

მოკლედ, ყველაფერი ზემოთქმული აჩენს ეჭვს, რომ სტალინი, პირდაპირ თუ ირიბად, სპეცსამსახურების პროდუქტი იყო. სტალინისა და სააკაშვილის ანუ როგორც „ოცდაერთიანელების“ მსგავსებაზე ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც მეტყველებს: როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლებაში მოსვლამდე, კობამ ნაშრომი – „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ დაწერა, სააკაშვილმა კი, „ვარდების რევოლუცია“ წიგნით – „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ დაიწყო...

ასე და ამგვარად, 21-ის დოსიეში იდუმალებით მოცული ბევრი ფაქტი იკვეთება და სწორედ ეს იდუმალება გვაძლევს საფუძველს, ეჭვგარეშედ დავასკვნათ, რომ 21 საქართველოსთვის და, შესაძლოა, პლანეტა დედამიწისთვისაც ერთობ საკრალურია!..

„როცა თავდამსხმელი საკუთარ სახლში გაშლილი დანით მოსაკლავად შემოგივარდება, თავი უნდა დაიცვა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას ჰყვება ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე გახმაურებულ საქმეზე

არაერთი გახმაურებული საქმის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა: „შოთა მაისურაძე სრულად გამართლდა! აუცილებელი მოგერიების უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს. როცა თავდამსხმელი საკუთარ სახლში გაშლილი დანით მოსაკლავად შემოგივარდება, თავი უნდა დაიცვა. ყველას აქვს საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის უფლება. თავდაცვა არ არის დანაშაული!“ ადვოკატის თქმით, საქმეს მოსამართლე ელენე გოგუაძე განიხილავდა. „ვერსია“ აღნიშნულ საქმეზე მეტი დეტალის გასარკვევად ადვოკატ ტარიელ კაკაბაძეს ესაუბრა:

– 2022 წლის 12 ივნისს, უწესიერეს ადამიანს, შოთა მაისურაძეს, სახლში შეუვარდა მეზობელი გაშლილი დანით და მივარდა მოსაკლავად. ამ დროს შოთა მაისურაძემ აიღო დანა, რომლითაც მიაყენა სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება გულის არეში. შოთა მაისურაძე იმ დღესვე დააკავეს და ბრალად წაუყენეს, თითქოს ჩაიდინა მეზობლის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და მიიჩნია, რომ როცა პიროვნება საკუთარ სახლში გაშლილი დანით შემოგივარდება, შენი ქმედება უკვე ჯდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

– შოთა მაისურაძეზე თავდამსხმელი დააკავეს?

– არ დაუკავებიათ. პირიქით, სცნეს დაზარალებულად და მძიმე ბრალდებით დააკავეს თავად შოთა მაისურაძე.

– მიზეზი ცნობილია, თუ რატომ დაესხა თავს დაზარალებულად ცნობილი პირი მაისურაძეს?

– როგორც გაირკვა, დაზარალებულს აქვს ძალიან ცუდი სიმთვრალე. ნასვამზე ხდება ძალიან აგრესიული. ცოტა ხნით ადრე, როდესაც ბავშვებისა და ქალბატონების თანდასწრებით იგინებოდა, შოთამ მისცა შენიშვნა და მოუწოდა სახლში წასვლისკენ. ამის შემდეგ გაუჩნდა აგრესია შოთას მიმართ და ჰკრა ხელი, რასაც შოთამაც ხელის კვრითვე უპასუხა. ამის შემდეგ ეს პიროვნება გაბრაზებული მიდის სახლში და ემუქრება მაისურაძეს, რომ ამის გამო პასუხს აგებინებს. რამდენიმე წუთში იღებს სახლიდან დანას და მეზობლად მცხოვრებ შოთა მაისურაძეს გაშლილი დანით უვარდება სახლში.

– მნიშვნელოვანია ეს გარემოებაც, ჰქონდა თუ არა შოთა მაისურაძეს გაქცევის საშუალება?

– იმ ოთახში, სადაც თავდამსხმელი შევარდა, იმყოფებოდა ასევე შოთა მაისურაძის ძმა, რომელიც არის შშმ პირი. არსებობდა იმის საფრთხეც, რომ გაქცევის შემთხვევაში, თავდამსხმელს ისიც დაეზიანებინა ან თუნდაც მოეკლა. ამ დროს შოთა ვერ გაიქცეოდა და აგრესიულ ადამიანს ვერ შეატოვებდა თავის ძმას, რომელსაც თავის დაცვა არ შეეძლო.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს, როცა დანას უქნევდნენ, მის უკან იყო ყრუ კედელი, მისგან მარჯვნივ კი იყო სააბაზანოს შესასვლელი. აღნიშნული კარისკენ წასვლა მისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, რადგან თავდამსხმელი დანას უქნევდა და ნებისმიერი მსგავსი მოძრაობა შეიძლებოდა, ფატალურად დასრულებულიყო მისთვის.

კანონის თანახმად, ბრალდებული არც იყო ვალდებული, სააბაზანოში შესულიყო/შემალულიყო მაშინ, როცა თავდამსხმელი მისსავე საკუთარ სახლში, საკუთარ ოთახში იმყოფებოდა და მოკვლით იმუქრებოდა.

– ტარიელ, რა არგუმენტები ჰქონდა პროკურორს ამ საქმეში?

– სხვათა შორის, პროკურორის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ შოთა მაისურაძეს შეეძლო სხვა ოთახში (მაგალითად, სააბაზანოში) გაქცევა. ეს დადგენილად რომც მივიჩნიოთ, მაინც არ გამოირიცხება შოთა მაისურაძის უდანაშაულობა. სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, ადამიანს აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ანუ რომც დავუშვათ, რომ პირს შეუძლია გაქცევით უშველოს თავს, მაგრამ მან გაქცევის ნაცვლად, თავდამსხმელის დაზიანება გადაწყვიტა, მაინც უნდა ჩავთვალოთ, რომ პირმა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩაიდინა ქმედება. შესაბამისად, პირი ასეთ დროს არ უნდა დაისაჯოს.

როცა პირი საკუთარ სახლში მოსაკლავად შემოგივარდება, არ ხარ ვალდებული, გაიქცე სხვა ოთახში ან სახლიდან.

– კანონის მიხედვით, უნდა დაისაჯოს თუ არა პირი იმ შემთხვევაში, თუ მას თავს ესხმიან, პოლიციას არ იძახებს და თავდამსხმელს კლავს?

– სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი აღნიშნულზეც მიგვითითებს, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს მაშინაც, თუ მას შეუძლია საშველად მოუხმოს სხვას ანუ თუ თავს დაგესხმებიან, მაგრამ სხვისთვის (პოლიცია იქნება, თუ თუნდაც კონკრეტული პიროვნება) დახმარების თხოვნის ნაცვლად, გადაწყვეტ, რომ თავდამსხმელი თავად დააზიანო, ასეთ დროსაც აუცილებელ მოგერიებაში ხარ.

წარმოუდგენელია, ადამიანები დაავალდებულო, გარისკონ საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა მაშინ, როცა თავდასხმის ქვეშ იმყოფებიან.

– საინტერესოა ამგვარი საქმეების სტატისტიკაც. რამდენად ხშირი ფაქტია სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე პირის გამართლება?

– პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით სიტუაციას, როდესაც ზოგი მოსამართლე ბოლომდე არ ამართლებს ბრალდებულებს და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად აკვალიფიცირებს პირის ქმედებას. რეალურად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა თავდაცვის ზომა, თავდასხმის ხასიათთან შეუსაბამოა. მაშინ, როცა ადამიანი დანას გიქნევს, ან თუნდაც რამდენიმე შეუიარაღებული ადამიანი მძიმე დაზიანებებს გაყენებს, ასეთ შემთხვევაში, პირის ქმედება სრულად ჯდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

ამ მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანია შოთა მაისურაძის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, რაც სწორი პრაქტიკის დამკვიდრებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

– როგორ ფიქრობთ, უმჯობესია მსგავსი საქმეების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გატანა?

– მე, როგორც ადვოკატი, უდიდეს პატივს ვცემ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. თუ ნაფიც მსაჯულებს სწორად შეარჩევ, ვფიქრობ, რომ ხარისხიანი მართლმსაჯულება გარანტირებულია. ჯარისკაც მერაბ კობიაშვილის საქმეზე, ნაფიცებმა დაინახეს ბრალდებულის სიმართლე და მიიჩნიეს, რომ მისი ქმედება სრულად ჯდებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. რომ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მერაბ კობიაშვილი სრულად, ალბათ, ვერ გამართლდებოდა, რადგან საქმე ძალიან სენსიტიური იყო.

– ზოგადად, თქვენი შეფასებით, რამდენად მუშაობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხვა ტიპის საქმეებში?

– მე რთულად მახსენდება სისხლის სამართლის საქმე, სადაც ნაფიცმა მსაჯულებმა არაადეკვატური ვერდიქტი მიიღეს. ბევრი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ვერ იმუშავებს, თუმცა დასრულებული საქმეები აჩვენებს, რომ ამ ინსტიტუტმა გაამართლა. არსებობს უამრავი ხარვეზი, რაც უნდა გამოსწორდეს და დაიხვეწოს. ჩვენი საზოგადოება არაფრით ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების მოქალაქეებს. თუ ნაფიცებს ეფექტურად შეარჩევ და სწორად მიაწვდი ინფორმაციას, ისინი მტყუან-მართლის გარჩევას ნამდვილად შეძლებენ.

„ერთ-ერთ ჩანჩურას თავიც კი მოუწონებია, ცოტნე გამსახურდია ავჩეხეო“

როგორია პირველი პრეზიდენტის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა თავდასხმიდან სამი წლის შემდეგ და რა სიახლეებია კოლხური კოშკის დავაზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ამაზე „ღირშესანიშნავი“ არც არაფერი მოხდება ოდესმე მის ცხოვრებაში, რომლის რეალური არსის მაქსიმუმს ევროპის სავაჭრო ობიქტებიდან ჭინჭების ქურდბაცაცობა, შედეგად, პატიმრობა და გამოძევება, უკან შეპარვისთვის, საკუთარ გვარზე უარის თქმა და ცოლის გვარს ამოფარება წარმოადგენს. ანალოგიური ისტორია მეორე არაკაცის „საამაყო“ ბიოგრაფიაშიც იძებნება – ევროპაში ქუდბაცაცობისთვის დაპატიმრება, გამოძევება და უკან შეპარვის მიზნით, საკუთარ გვარზე უარის თქმა. მესამე მშიშარა არაკაცი ცოტნეს მეზობელია, რომელმაც საკუთარი გარდაცვლილი ძმის გამოყენებაც კი არ ითაკილა ბინძური ჩანაფიქრის ასასრულებლად და მის დაბადების დღეზე მიიტყუა ცოტნე. სწორედ იქ დაახვედრა (და მოგვიანებით ,სახლის ჭიშკართანაც) დანარჩენი სამი არაკაციც.

საქმე იმაშია, რომ წლების წინ, თანაბარ პირობებში, ცოტნესთან მომხდარი დაპირისპირებისას, ცოტნეს დიდი უპირატესობის გამო, გულში ბოღმა და შურისძიება ჩაიდო და არნახული ლაჩრული ანგარიშსწორება მოუწყო წლების შემდეგ...

ალბათ, ყველას გვინახავს კადრები, რომელშიც მსხვერპლის დედები საკუთარ შვილთა მკვლელებს გულში იკრავენ, პატიობენ, თავისუფლდებიან და სიცოცხლეს აგრძელებენ.

საკმაოდ მიმტევებლური ბუნებისა და ტოლერანტულობის მიუხედავად, კარგად ვიცი, ვერასოდეს, ვერცერთ მათგანს ვერ ვაპატიებ ვერანაირი გათავისუფლებისა და სულის ცხონების ფასად, რითაც კიდევ უფრო მეტად დავიმძიმებ ჯვარს, რომელსაც სამი წელია ვატარებ, მაგრამ არსებობს დანაშაული, რომლის პატიება შეუძლებელია; რომლის შემთხვევაშიც უადგილოა პირობითობისა თუ ფარდობითობის ცნებათა ხსენებაც კი; რომლის დროსაც მედალს მხოლოდ ერთი მხარე აქვს და დამნაშავეს ერთი ვერდიქტი!

ვერ დაგამძიმებთ იმ ჯოჯოხეთური ტანჯვის დეტალებით, რასაც სიცოცხლისა და იმედის შენარჩუნებისთვის არაერთ ფრონტზე ერთდროული ბრძოლა ჰქვია. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია გამოცდილების გარეშე, რომლის მიღებას მტერსაც ვერ ვუსურვებ...

ზუსტად სამი წლის წინ, ოთხმა ლაჩარმა თავდაყირა დააყენა ჩვენი დალაგებული და დალხენილი ცხოვრება. ზუსტად სამი წლის წინ, სამუდამოდ მოგვესპო სიცოცხლით, სიყვარულითა და სიმშვიდით ტკბობის ყველანაირი შესაძლებლობა...

P.S. არადა, თითქოს, არც არაფერი უქადდა ცუდს ჩვენს ფერად ცხოვრებას, რომლის პრობლემების სერიოზულობა თითქმის აღარ სცილდებოდა ჩემი სამსახურიდან დროულად დაბრუნების ფარგლებს“...

„ვერსია“ ანა ბაბაურთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ, სადაც ქალბატონი ანა იმ საქმეების შესახებაც საუბრობს, რომელთაც სასამართლო განიხილავს. ერთ-ერთი საქმე კოლხურ კოშკს ეხება, დავა გიორგი გამსახურიამ საკუთარი დედის წინააღმდეგ წამოიწყო, რათა ცოტნე გამსახურდიამ მშობლიურ სახლში, კოლხურ კოშკში დაბრუნება შეძლოს...

– ქალბატონო ანა, რამდენი ხანია, გრძელდება სასამართლო დავა გიორგი გამსახურდიასა და დედამისს შორის? დასკვნა გამოიტანა ბოლო ინსტანციის სასამართლომ კოლხურ კოშკთან დაკავშირებით?

– ეს დავა ჯერაც არ დამთავრებულა, რადგან მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს უწყებას არ იბარებს უკვე რამდენიმე კვირაა, რითაც ხელოვნურად ხდება პროცესის გაჭიანურება, თუმცა ბოლო ინსტანციაშია უკვე სარჩელი, რაც საბოლოოდ, დავის სწრაფი დასრულების იმედს გვაძლევს.

– თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კოლხური კოშკი ცოტნესა და გიორგის მფლობელობაში გადავა, ბატონი ცოტნე შობას მშობლიურ კოლხურ კოშკში შეხვდება?

– საშობაოდ ვერ მოესწრება, რადგან ჯერ უწყების ჩაბარება უნდა მოხერხდეს, რაღაც მექანიზმებით (მარტო კასატორის ნება-სურვილზე ვერ წარიმართება სასამართლოს მუშაობა). მერე უნდა გადაწყდეს, მიიღებენ თუ არა ბოლო ინსტანციის სასამართლოში და ბოლოს, სააღმსრულებლო ფორმა უნდა გამზადდეს. მხოლოდ ამის მერეა კოშკში გადასვლაზე ფიქრი შესაძლებელი.

– როგორც ადრე, ინტერვიუში მითხარით, კოშკის ნაწილში გიორგი მუზეუმის გახსნას აპირებს, ამ საკითხზე დეტალები გარკვეულია?

– დიახ, გიორგის ასე აქვს მყარად გადაწყვეტილი. იგივე აზრზე იყო ცოტნე ყოველთვის. ამას ემხრობა კონსტანტინე გამსახურდიაც. მე პატივს ვცემ ძმების გადაწყვეტილებას და, ისედაც, სულ რომ მათთვის უცნობი ვყოფილიყავი, როგორც რიგითი მოქალაქე, ყოველთვის მხარს დავუჭერდი ამ ღირსეულ გადაწყვეტილებას. კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიას სახლი საკუთარი მერკანტილური ინტერესებისთვის არავინ უნდა გამოიყენოს. ეწინააღმდეგებოდე ამ ორი დიდი ბუმბერაზი ადამიანის სახელზე ერთი მუზეუმის არსებობას, ესაა ამ ორი დიდი ადამიანისა და სრულიად საქართველოს ღალატი (რომ აღარაფერი ვთქვათ ღირსებისა და ნამუსის ნაკლებობაზე).

კოლხური კოშკის მუზეუმად გადაკეთება არ ნიშნავს ცოტნეს დატოვებას საკუთარი სახლის გარეშე. ცოტნეს ცხოვრება იქაა გათვალისწინებული კოშკის ტერიტორიის დიდ ნაწილში. ცოტნეს დღეს ისე სჭირდება იქაურობა, როგორც არასოდეს და, სამწუხაროა, რომ ამდენი წელია, ვერ ვახერხებთ მისთვის ამ საჭიროების შესრულებას, რის გამოც მისი თითოეული ექიმი ძალიან წუხს.

– როგორია ბატონი ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობა? როგორი ტემპით მიდის რეაბილიტაციის პროცესი?

– ცოტნეს რეაბილიტაცია ძალიან ნელი ტემპით ხდება, რაც მისი ორი მიზეზითაა გამოწვეული. პირველია თავის ტვინის უმძიმესი დაზიანებები და მისი გართულებები, მეორე კი – არაერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც, სამწუხაროდ, ხელოვნურად იქმნება. თუნდაც, მისი საკუთარ, მამის მიერ ანდერძით დატოვებულ სახლში დაბრუნების გაჭიანურება და, აგრეთვე, დაუსრულებელი სასამართლოები, რომელსაც ჩემი და გიორგის წინააღმდეგ აწარმოებს მოწინააღმდეგე მხარე, რითაც ჩვენ ხელი გვეშლება საუკეთესო პროექტების ნაწილის განხორციელებაში.

– შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომლის მიხედვითაც, თქვენს მეუღლეზე თავდასხმისთვის დაკავებულებს სასჯელი – 15-წლიანი პატიმრობა შეუნარჩუნდათ...

– სააპელაციო სასამართლოს მადლობლები ვართ მთელი ოჯახი. ამ ოთხი არაადამიანისთვის 15 წელიც ცოტაა. ამ სასჯელის შემცირება უსამართლობა იქნებოდა. ამიტომ, ძალიან დადებითად ვაფასებთ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თავდამსხმელებიდან დაკავებული მხოლოდ სამია. სამწუხაროდ, მეოთხე თავდამსხმელი დაუსხლტა მართლმსაჯულებას.

მეოთხე დაკავებული, პეტრე ყუფარაძე არ არის თავდამსხმელი, ის ცოტნეს მეგობარია, რომელმაც იმ საბედისწერო ღამეს, ცოტნე კლინიკაში გადაიყვანა. ძალიან ვწუხვარ, რომ ისიც დაკავებულია შეუტყობინებლობის მუხლით და მისი სასჯელის შემსუბუქება ამ ინსტანციაში არ მოხდა. მე მას მადლობას ვუხდი ცოტნეს დახმარებისთვის.

საქართველოს სტრატეგიული ფუნქცია და ქვეყნის ევროპული დანიშნულება – ელექტროენერგიის ჰაბი

მაკა რუხაძე

ევროპა სამხრეთ კავკასიის რეგიონს შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტით დაუკავშირდება

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი უკვე დაიწყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ინიციატივით დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც გულისხმობს კავკასიის რეგიონისა და ევროპის ენერგეტიკულ დაკავშირებას მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის საშუალებით. გასულ კვირას, ირაკლი ღარიბაშვილის რუმინეთში ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ისტორიული შეთანხმებას აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის, მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიას დასწრნენ ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს ვერნერ იოჰანისი. პარტნიორი ქვეყნების ლიდერების მიერ მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმდინარე გამოწვევების ფონზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროპის ენერგოუსაფრთხოების ასპექტში, საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა პირდაპირ განაცხადა, რომ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი საქართველოს მისცემს ევროპულ დანიშნულებას და აქცევს ელექტროენერგიის ჰაბად.

რუმინეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა პლენარულ სესიაზე – „სტრატეგიული პარტნიორობა მწვანე ენერგეტიკის განვითარებისა და გაზიარების საკითხებში“. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არსებულმა გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა უფრო მეტად გამოკვეთა დივერსიფიკაციისა და მედეგობის საჭიროება ენერგოუსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი გამოწვევების მოსაგვარებლად: **„საქართველოს გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა ბუნებრივად გვაქცევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად ისევე, როგორც ზღვაზე წვდომის არმქონე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 8 ქვეყნის კარიბჭედ, რომელიც, სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციისა და ევროპისათვის ენერგორესურსების მიწოდების კონტექსტში, უმნიშვნელოვანესი კვანძია ევროკავშირის გლობალური დაკავშირებადობის რუკაზე. ამიტომ, უმთავრეს პრიორიტეტად ვაქციეთ დაკავშირებადობა და განსაკუთრებული ხედვა შევიმუშავეთ კავკასიის რეგიონისა და ევროპის დასაკავშირებლად. აქტიურად ვახორციელებთ ინვესტიციებს ენერგიის, ციფრული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით. ეს სექტორები შესაბამისობაში მოგვყავს ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან ისევე, როგორც იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ასოცირების შეთანხმებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებითა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ფარგლებში ვიკისრეთ“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ჭარბი ენერგიის წარმოების მიმართულებით, რომელიც შეიძლება მეზობელ ქვეყნებს მიეწოდოს. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის პროექტი ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას, გაიზრდება სატრანზიტო ვაჭრობის შესაძლებლობები ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის.

„ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტროგადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით, ევროპა შეძლებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს. 2020 წლის ივნისში, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლითაც დადასტურდა ამ პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. საქართველოს მთავრობამ, 2021 წლის 26 აპრილს, გამოაცხადა კონკურსი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელისა და ციფრული კავშირის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩასატარებლად. შერჩევა მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებით განხორციელდა და გამოცხადდა გამარჯვებული, კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და 18 თვეში დასრულდება. ამ მიმართულებით, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ რეგიონში ურთიერთჩართვისა და ენერგოტრანზიტის შესაძლებლობათა განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია ჩემი მთავრობისთვის. საქართველო, სანდო სატრანზიტო პარტნიორის რანგში, მნიშვნელოვანი მდგენელია ჰიდრორესურსების მიწოდების ჯაჭვში, კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთისკენ, ენერგოტრანზიტის მთავარ რეგიონულ მარშრუტში. ამ პროექტის განხორციელებას ახალ განზომილებაში გადაჰყავს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის. კვლავ მინდა დავადასტურო, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს განახლებადი ენერგიის წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებით, რაც ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაში თავის წვლილს შეიტანს“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს ვერნერ იოჰანისმა განაცხადა, რომ უმთავრესი ამოცანა ენერგოუსაფრთხოება და რეგიონული თანამშრომლობაა. ვინაიდან უკრაინაში სამხედრო აგრესია მიმდინარეობს, ევროპას სჭირდება უკეთესი თანამშრომლობა და მეტი სოლიდარობა საერთო გამოწვევების დასაძლევად:

„ეს შეთანხმება ქმნის ჩარჩოს გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის ჩვენს ქვეყნებს შორის სხვადასხვა, ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით. პირველია წარმოება, ტრანსპორტირება და ვაჭრობა სუფთა ენერგიით; მეორე – ახალი გადამცემი ხაზებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, სახელდობრ, შავი ზღვის ელექტრონერგიის წყალქვეშა კაბელი; მესამე – მწვანე ჰიდროენერგიის ერთობლივი პროექტებია, ხოლო მეოთხე – ენერგოეფექტიანობაა. ეს არის ამბიციური შეთანხმება და ცხადჰყოფს, რომ ჩვენ შეგვიძლია, ღირებული წვლილი შევიტანოთ ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაში. ჩვენი ენერგოთანამშრომლობა არის სტრატეგიული გამოწვევების პასუხი, რომლითაც გაძლიერდება ჩვენი ენერგომედეგობა და უზრუნველყოფილი იქნება დივერსიფიკაცია, როგორც წყაროების, ისე მიწოდების არხების“.

ევროკომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ წიაღისეულისა და რუსული ენერგიისთვის უარი ეთქვათ და გაეძლიერებინათ პარტნიორობა. ევროკავშირმა შეძლო შეემცირებინა რუსული რესურსების გამოყენება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი აირის მიწოდების თვალსაზრისით, ქვეყანა აფართოებს თავის გეოგრაფიულ არეალს ევროპის მიმართულებით. მისივე თქმით, ეს ორივე მხარისთვის მომგებიანი პოზიციაა, რადგან ევროპამ უნდა გააძლიეროს საკუთარი ენერგოუსაფრთხოება, აზერბაიჯანმა კი უნდა მოიპოვოს უსაფრთხო ბაზარი გასაღებისთვის. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ ევროკომისიის ძალისხმევითა და ხელშეწყობით, აზერბაიჯანიდან წამოვიდა თანამშრომლობის ინიციატივა. რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაე-იონელ ჩუკამ აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება იქნება იმ გადაუდებელი საჭიროების პასუხი, რომელიც ენერგოუსაფრთხოების კუთხით, მწვანე ენერგიის მიღებას გულისხმობს.

რუმინეთში, კოტროჩენის სასახლეში გამართულ პლენარულ სესიაზე, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ისტორიული ღონისძიების ორგანიზებისა და მასპინძლობისთვის – რუმინეთის პრეზიდენტს, ხოლო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გლობალური პროექტის მხარდაჭერისთვის – ურსულა ფონ დერ ლაიენს მადლობა გადაუხადა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტროგადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით, ევროპა შეძლებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ამ პროექტის განხორციელებას სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ახალ განზომილებაში გადაჰყავს:

„ძვირფასო მეგობრებო, რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ინიციატივით, მუშაობა დაიწყო პროექტზე, რომელიც კავკასიის რეგიონისა და ევროპის ენერგეტიკულ დაკავშირებას გულისხმობს მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის საშუალებით. დღეს, მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, ვადასტურებთ მზადყოფნას მწვანე ენერგიის მიწოდების კონტექსტში მჭიდრო თანამშრომლობისთვის. კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ჭარბი ენერგიის წარმოების მიმართულებით, რომელიც შეიძლება მეზობელ ქვეყნებს მიეწოდოს. ევროპის გარდა, ყველა მეზობლისადმი გვაქვს ენერგიის მისაწოდებლად საჭირო ინფრასტრუქტურა. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელი ამ მხრივ მნიშვნელოვან პერსპექტივას გვანიჭებს. ამ პროექტით განახლებადი ენერგიის სექტორი განვითარდება და გაიზრდება სატრანზიტო ვაჭრობის შესაძლებლობები ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტრო გადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით, ევროპა შეძლებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს“.

ირაკლი ღარიბაშვილი რუმინეთში დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

„თუ გინდა, იგრძნო, როგორ იცვლება მსოფლიო უკეთესობისკენ, ეს ირანიდან უნდა დაინახო“

ანი სარდლიშვილი

ირანში სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები, თვეზე მეტია, გრძელდება. ყველაფერი კი მაჰსა ამინის საქმით დაიწყო – ქალი ჰიჯაბის არასწორად ტარების გამო დააკავეს და სცემეს, რის შემდეგაც გარდაიცვალა. ერთი კვირის შემდეგ, საპროტესტო აქციებმა ირანის ოცდაათზე მეტი ქალაქი მოიცვა, მათ შორის, ქვეყნის დედაქალაქი თეირანიც. ასევე, მთელ მსოფლიოში სხვადასხვა სახის მხარდამჭერი საპროტესტო აქცია დაიწყო. მაჰსა ამინის სიკვდილი ირანელი ქალებისთვის ერთგავრი ბიძგი იყო, საკუთარ ქვეყანაში სასტიკი რეჟიმის დასამარცხებლად. ირანში არსებული არადემოკრატიულობისა და მმართველი რეჟიმის სისასტიკის გათვალისწინებით, საპროტესტო აქციების გამართვა მართლაც გმირობის ტოლფასია. ეს ქვეყანა ქალის უფლებებისადმი გამკაცრებული კანონებით გამოირჩევა, მათ უამრავი შეზღუდვა აქვთ, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქალები თავისუფლებას ითხოვენ. დემონსტრაციების პირველ დღეებში, ქალებმა ჰიჯაბები დახიეს, საჯაროდ დაწვეს და პროტესტის ნიშნად, თმაც შეიჭრეს. როგორ განვითარდება ირანში მოვლენები და უნდა ველოდოთ თუ არა რადიკალურ ცვლილებებს საპროტესტო აქციების ფონზე? – „ვერსია“ თეოლოგ ლელა ჯეჯელავას ესაუბრა, რომელიც ახლახან ირანში იმყოფებოდა.

რას ჰყვება ლელა ჯეჯელავა, რომელიც ირანიდან ახლახან დაბრუნდა

– ქალბატონო ლელა, რა ვითარებაა ირანში ახლა?

– ამ დროისთვის, საკმაოდ რთული ვითარებაა, რადგან ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია სანქციების გაძლიერებით, რომელიც ბოლო დროს დაემატა ირანს. საპროტესტო გამოსვლების ძირითადი მიზეზი, სწორედ ამ სანქციებით საზოგადოების ფართო მასების უკმაყოფილებაა. მაჰსა ამინის ტრაგიკული შემთხვევა კი ის ბოლო წვეთი იყო, რამაც საზოგადოებას უბიძგა, ქუჩაში გამოსულიყო და მძაფრი პროტესტი გამოეხატა.

სხვადასხვა გარემო პირობებიდან გამომდინარე, სიტუაცია მარტივი ნამდვილად არ არის: ირანი ძალიან დიდი ქვეყანაა, სადაც 80 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, დიდი ტერიტორიაა და ასევე, საკმაოდ დიდი კონტრასტების ქვეყანაა, როგორც გეოგრაფიულ-კლიმატური, ისე – სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ერთ ადგილას თუ 40 გრადუსი სიცხეა, მეორეგან – 20 გრადუსი ყინვაა, რაც შესაბამისად აისახება მოსახლეობის ფსიქო-ემოციურ განწყობაზე, განვითარების დონეზე, პოლიტიკური პროცესების მიმართ დამოკიდებულებასა და ბევრ სხვა ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრზე, რომელიც საბოლოოდ, ძალიან დიდ როლს ასრულებს ქვეყანაში შექმნილი ვითარების ფორმირებაში.

– მოსალოდნელია თუ არა რეჟიმის ცვლილება ანუ როგორია ამ ქვეყნის მომავალი?

– პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ხვალვე ცვლილებები მოსალოდნელი ნამდვილად არ არის, თუმცა, გარკვეულწილად, დღეს არსებული რეჟიმი შემსუბუქდება. ამ საპროტესტო აქციების ძირითადი სიმბოლო ჰიჯაბი გახდა, მაგრამ ეს არ არის უმთავრესი მიზეზი ქვეყანაში შექმნილი სერიოზული კრიზისისა, არამედ, მთავარი სანქციებია. ამ შემთხვევაში, ამოცანა ის არის, რომ სანქციები თავიდან აიცილონ, ამის შესაძლებლობას კი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს არსებული ხელისუფლების პირობებში ნამდვილად ვერ ხედავს, ამიტომ ეს არის ხანგრძლივი და შეუქცევადი პროცესი. თუკი ხელისუფლება მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გაამკაცროს რეპრესიული რეჟიმი, ამან შეიძლება, დროებით შეაჩეროს ეს პროცესი.

იმედი მაქვს, ირანის ხელისუფლება გააცნობიერებს, რომ რეპრესიული რეჟიმის გამკაცრება ყველაზე კარგი გამოსავალი არაა არსებულ სიტუაციაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ირანში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის, ხელისუფლების სხვადასხვა განშტოება განსხვავებულად უყურებს პროცესებს, არის შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობაც, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველა თანხმდება, რომ ამ მოვლენებში უნდა დაადანაშაულონ გარე ძალები.

ყველა რეჟიმის პირობებში ვიცით, რომ ძირითადად ასე ხდება – დამნაშავე აუცილებლად გარე ძალაა და საკუთარი პასუხისმგებლობა ნაკლებმომგებიანია ხელისუფლებისთვის. მამრთველი რეჟიმი თვლის, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები მომზადებას გადიოდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათივე განცხადებებით, დაკავებულები იძლევიან ჩვენებებს, რომ მომზადება გაიარეს ერაყის, პოლონეთის, აზერბაიჯანის, ხორვატიის და, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზეც, თუმცა ეს ძალიან დიდ ეჭვს იწვევს. ბუნებრივია, ამჟამინდელი ხელისუფლება მოქმედებს სტანდარტით, რომელსაც ყველა ავტორიტარული ხელისუფლება მიმართავს, რათა პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან.

სამწუხაროდ, ჩემი წამოსვლის შემდეგ, გაჩნდა სიკვდილით დასჯის პირველი პრეცენდენტი, რაც ძალიან ცუდია. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ იმისთვისაა, რომ გამოიწვიოს გარკვეული შიში მოსახლეობაში, მაგრამ არ მგონია, ამას შესაძლო შედეგი ჰქონდეს და შეწყვიტოს საპროტესტო აქციები.

ირანში, ციხეშია გამოკეტილი თითქმის მთელი ინტელექტუალური ელიტა, დაწყებული – აკადემიური წრეებიდან, დამთავრებული – შემოქმედებითი წრეებით. ხუმრობენ კიდეც, რომ ლექციები ციხეშია გადატანილი იმიტომ, რომ ასეულობით პროფესორია დაპატიმრებული, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის შემაკავებელი ფაქტორი.

– რამდენად ძლიერია პროტესტის განცდა ხალხში, როგორც შორიდან ჩანს, არავინ უშინდება სასტიკ რეჟიმს...

– მთავარი მახასიათებელი, რაც ამ პროტესტს ახლავს, ისაა, რომ მასში, ძირითადად, ახალგაზრდები მონაწილეობენ. უკვე გამოჩდნენ რეჟიმის წარმომადგენელთა შვილებიც, რომლებისთვისაც მიუღებელია ის რეპრესიული მექანიზმი, რასაც ირანის ხელისუფლება იყენებს. სწორედ ამ მექანიზმმა უბიძგა მათ, გამოსულიყვნენ ქუჩებში. ყველაზე უფრო თვალსაჩინო კი ის გახლავთ, რომ მოსახლეობა ძალიან სოლიდალურია ერთმანეთის მიმართ, მაღალ სამოქალაქო პოზიციასა და შეგნებას აჩვენებენ. ეს სიტუაცია შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც „მამათა და შვილთა“ ბრძოლა და ამ შემთხვევაში, არ ვიქნებით აცდენილები რეალობას იმიტომ, რომ ახლა, სწორედ შვილები დგანან მამების წინააღმდეგ.

ირანის ხელისუფლება ბოლო 45 წლის განმავლობაში შეიცვალა. თუ რევოლუციის დროს, ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომელთა ინტელექტუალური დონე არ იყო მაღალი, დღეს ხელისუფლების ყველა შტოში – საეროში, სასულიეროსა და სპეცსამსახურებშიც არიან ადამიანები, რომელთა განათლების ხარისხი და დონე სრულიად სხვაა. ძალიან სერიოზული კავშირები ჰქონდათ დასავლეთთან – იქ შეეძლოთ განათლების მიღება. მათი დამოკიდებულებები, ძველი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო ადეკვატურია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ირანში ხვალ არა, მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე, პროცესები მივა სასურველ წერტილამდე და ქვეყანა შეიცვლება.

დასასრული მე-8 გვერდზე

„თუ გინდა, იგრძნო, როგორ იცვლება მსოფლიო უკეთესობისკენ, ეს ირანიდან უნდა დაინახო“

მე-7 გვერდიდან

ამ ქვეყანას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, ახალგაზრდობა საოცრად კარგია, ორიენტირებულია განათლების მიღებაზე, ძალიან მიზანსწრაფული და გახსნილი თაობაა. ისინი არ მალავენ და გამოხატავენ, რომ უნდათ თავისუფლად გადაადგილება მთელ მსოფლიოში, უნდათ, ურთიერთობა ჰქონდეთ ყველა ქვეყნის თანატოლებთან და ისე არ უყურებდნენ, როგორც ბნელ და გაუნათლებელ ადამიანებს. ამიტომ, ამ პროცესს ახლა უკან ვეღარავინ შემოაბრუნებს.

– ქალბატონო ლელა, ბევრისთვის უცნობია, ვის ხელშია ამჟამად ირანის ხელისუფლება, ვინ არის დღეს ქვეყნის ხელმძღვანელი?

– ამჟამად ირანში ხელისუფლება შემდეგნაირადაა გადანაწილებული: არის სამი შტო, პირველი – რელიგიური ლიდერი აიათოლა ჰომეინია, რომელსაც ემორჩილებიან ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები, მეორე – საერო ხელისუფლებაა, რომელიც ემორჩილება პრეზიდენტს და აქვეა პარლამენტი, ხოლო მესამე შტო გახლავთ ძალოვანები ანუ სპეცსამსახურის დანაყოფი, რევოლუციის გუშაგთა კორპუსი, რომლის ხელშიც თავმოყრილია ძალაუფლების ძალიან დიდი ნაწილი. გუშაგებიც, რეალურად, ემორჩილებიან აიათოლას, მაგრამ მათი გავლენები იმდენად დიდი იყო მათი ლიდერის, სოლეიმანის მკვლელობამდე, რომ დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი ხარისხიც ჰქონდათ.

– და მაინც, როგორია თქვენი თვალით დანახული ირანი ანუ როგორი ირანი დაგხვდათ?

– თუ გინდა, იგრძნო, როგორ იცვლება მსოფლიო უკეთესობისკენ, ეს უნდა დაინახო ირანიდან, ყველაფერ ამას შეხედო ამ ქვეყნიდან. ირანი დღეს დგას ძალიან სერიოზული ცვლილებების მიჯნაზე. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ მსოფლიო აუცილებლად შეიცვლება და ის გახდება უფრო უკეთესი, ვიდრე დღეს არის.

– რა გავლენას მოახდენს არსებული ვითარება ჩვენს ქვეყანაზე?

– როგორც ვიცი, ირანელების ერთ-ერთი მთავარი წუხილი ისაა, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოსთან ურთიერთობები მაქსიმალურად შემცირებულია, ხელისუფლება ნამდვილადაა მოწადინებული, რომ საქართველოსთან უფრო მეტი და ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდეს. ჩვენი ხელისუფლების პოზიცია გასაგებია იმ თვალსაზრისით, რომ ირანი სანქციების ქვეშაა, მით უმეტეს, ბოლო მოვლენების – უკრაინა-რუსეთის დაპირისპირების დროს, ირანი აღმოჩნდა რუსეთის მხარეს და ცხადია, ჩვენი თავშეკავება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ამის შესახებ იქ ღიად მქონდა საუბარი, რადგან ჩვენი მტრის მეგობარი, ჩვენი საუკეთესო მეგობარი ვერაფრით იქნება.

საქართველო და ირანი იმყოფებიან განსხვავებულ გეოპოლიტიკურ ორბიტებზე. შესაბამისად, ამან კიდევ უფრო გაზარდა დისტანცირება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისთვის. ამიტომ, მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, გარკვეული ქმედებებიცაა საჭირო, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები დარეგულირდეს. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს ირანსა და საქართველოს შორის, ძალიან ბევრი გაბლარული მომენტია, რომელთა გამჭირვალეობა უკეთესი იქნებოდა.

– ბოლოს, როგორია ფერეიდნელი ქართველების მდგომარეობა და რას ფიქრობენ არსებულ სიტუაციაზე?

– სამწუხაროდ, მხოლოდ ერთადერთ ფერეიდნელს შევხვდი, წარმოშობით ფერეიდნელს, რომელიც ერთ-ერთ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ფილოსოფიის კათედრას. იცოდა ქართული ენა და ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა... ფერეიდნელი ქართველების რამე განსაკუთრებული პოზიციის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ იმიტომ, რომ ისინი ძალიან ინტეგრირებულნი არიან ირანის სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ვერ გეტყვით, რომ ისეთივე მყარი პოზიციები აქვთ, როგორიც, მაგალითად, სომხურ თემს, ეს არ იქნება მართალი, მაგრამ ირანელი ქართველები, რომლებიც ფერეიდანსა და მაზანდარანის რეგიონში ცხოვრობენ, ჩვეულებრივად, აქტიურად მონაწილეობენ ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინა მოწვევის პარლამენტის დროს, ერთ-ერთი ფერეიდნელი ქალბატონი დეპუტატიც კი გახდა. სამეცნიერო სფეროთიც არიან დაკავებულნი, ძალიან დიდია ფერეიდნელი ქართველების ჟინი განათლებისადმი და ეს ნამდვილად შესამჩნევია. მათი ნაწილი ფერეიდანში სოფლის მეორნეობასა და ადგილობრივი რეგიონის განვითარებას უწყობენ ხელს, მაგრამ მათი ცნობიერება საქართველოსას ნამდვილად არ ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეძლეს რწმენის შენარჩუნება ირანში, განსხვავებით სომხური თემისგან, მოახერხეს, რომ მენტალურად მაინც დარჩენილიყვნენ ქართველებად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ევროკავშირის მხარდაჭერით სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა გადაეცა

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, გაეროს პროექტების მომსახურების ოფისმა (UNOPS), შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 40 სხვადასხვა სახეობის სამაშველო და სამძებრო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა გადასცა. ღონისძიებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე კატალინ გერმანი, UNOPS საქართველოს ხელმძღვანელი კლოდ-ანდრე ნადონი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი ეკატერინე მაჭავარიანი და სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა თეიმურაზ მღებრიშვილმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მოწოდებული სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა მეხანძრე-მაშველებს, ქვეყნის მასშტაბით, სამაშველო ოპერაციების ჩატარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 7 მაღალი გამავლობის მანქანა „პიკაპი“, 3 ყველგანმავალი „კვადროციკლი“, 3 დრონი, თხილამურებისა და სათხილამურო აღჭურვილობის 40 და სამძებრო აღჭურვილობის 12 ერთეული კომპლექტი გადასცა. აღნიშნული დახმარება გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ, ევროკავშირის SAFE პროგრამის ფარგლებში იქნა შეძენილი.

2023 წლიდან, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დამატებით მხარდაჭერას გაუწევს. დაგეგმილია ინციდენტების მართვის სისტემების განვითარება, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შემუშავება, ასევე, ხელი შეეწყობა სამაშველო სამსახურის დაახლოებას ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან. ახალი სასწავლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები კიდევ უფრო აამაღლებს მეხანძრე-მაშველების ცოდნასა და უნარებს, ასევე, ხელს შეუწყობს კარგად მომზადებული მოხალისეთა ჯგუფების ჩამოყალიბებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ევროკავშირი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მხარდაჭერას პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში უწევს. აღნიშნული პროექტი UNOPS-ის მიერ ხორციელდება და „ევროკავშირის უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ (SAFE) პროგრამის ნაწილია, რომელიც მიზნად საქართველოს უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს. აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან ხორციელდება.

სამართალი

№50 21 დეკემბერი 2022 წ

თავხედური ძარცვა-ყაჩაღობების ქრონიკა

როგორ გავიდნენ სამართალდამცავები დამნაშავეების კვალზე

ბათო ჯაფარიძე

ამას წინათ, საქართველოს ბანკის ერთ-ერთი ფილიალი დააყაჩაღეს. მძარცველმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა კი მოახერხა, მაგრამ სამართალდამცავებმა მისი დაკავება შეძლეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად მოხდა – მას ქუჩაში დაყენებული ვიდეოკამერებით გაყვნენ. საერთოდ, ვიდეოთვალით დაფიქსირებული აღნაგობა სპეციალურ საძიებო სისტემაში ვარდება, რის შემდეგაც, იმავე აღნაგობის ადამიანს, პრაქტიკულად, ყველა კამერა თვეების განმავლობაში ეძებს. დღეს წარმოუდგენელია, ბანკში ისე შეხვიდე, ვიდეოკამერის არეალში არ მოხვდე და ამიტომ, ძარცვა-ყაჩაღობები, ძირითადად, კრიმინალთათვის სავალალოდ მთავრდება. ადრე ასე არ იყო, ზოგადად, ადრე თუ ყაჩაღობას გაბედავდა ვინმე, ეს კარგად დაგეგმილი „ღონისძიება“ გახლდათ. მათ გათვლილი ჰქონდათ ყველაფერი და ადგილზე მისულ გამომძიებლებს, პრაქტიკულად, არაფერი ხვდებოდათ ისეთი, რასაც შეეძლო დამნაშავეების კვალზე გაყვანა. იმის თქმა, რომ დამნაშავე აუცილებლად უშვებს შეცდომას, ადვილია, მაგრამ ბევრად რთულია, ეს შეცდომა იპოვო, ფაქტები ერთმანეთს დაუკავშირო, აკინძო და საბოლოოდ, საქმის გახსნამდე მიხვიდე.

„თბილისში, ყვავილების მაღაზიებს ერთი ხელის თითებზე დაითვლიდი და მათაც არ ჰქონდათ ისეთი ვაჭრობა, სერიოზული კრიმინალის სამიზნე გამხდარიყვნენ. ამიტომ, ძალიან გამიკვირდა, როცა განყოფილებაში ზარი შემოვიდა, ყვავილების მაღაზია დააყაჩაღესო. შემთხვევის ადგილზე დიდი ინტერესით გავედი და ძალიან მაინტერესებდა, რა წაიღო თავდამსხმელმა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულ სამართალდამცავებს მაღაზიის ატირებული გამყიდველი და მოხუცი კაცი დახვდათ, რომელიც იქვე, მაღაზიის შესასვლელთან ახლოს, მზეზუმზირას ჰყიდდა. სწორედ ის იყო მთავარი მოწმე და იმედი, რომ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნილიყო. როგორც მოხუცმა თქვა, ორი თავდამსხმელი იყო, ისინი „011“-ის მარკის ავტომობილით მოვიდნენ, მაღაზიასთან მოშორებით, ასე, 20 მეტრში გააჩერეს, შემდეგ ერთ-ერთი მათგანი მაღაზიაში შევიდა, ერთი ცალი მიხაკი იყიდა, გამოვიდა, მეგობარს რაღაც გადაულაპარაკა, მიხაკი ნაგვის ურნაში ჩააგდო და მაღაზიაში უკვე მეგობართან ერთად შებრუნდა. ქალს იარაღი მიაბჯინეს და დაახლოებით, 80 მანეთი წაიღეს. რა ხდებოდა მაღაზიაში, მოხუცი ვერ ხედავდა, თუმცა ის კი დაინახა, როგორ გამოვარდნენ ბიჭები მაღაზიიდან, როგორ ჩახტნენ მანქანაში და მიიმალნენ. რა თქმა უნდა, მაშინვე ყველა განყოფილებას გაუგზავნეს შეტყობინება გატაცებულ „011“-ზე, მაგრამ... ორი დღის შემდეგაც კი, მილიციაში მანქანის გატაცებაზე განცხადება არ შესულა. რა გამოდიოდა, დამნაშავეები საქმეზე საკუთარი ავტომობილით და მხოლოდ იმის იმედად იყვნენ, რომ სიბნელეში შემთხვევითი მოწმე ნომერს ვერ დაინახავდა? ეს რაღაც ახალი იყო, თუმცა გამომძიებლებმა ზუსტად იცოდნენ, პირველი წარმატებით გათამამებულები, მეორე საქმეზე მალე წავიდოდნენ. ჰო, მზესუმზირის გამყიდველი მართალი აღმოჩნდა, მიხაკი სანაგვე ურნაში ეგდო, მაგრამ იქიდან თითის ანაბეჭდები ვერ აიღეს. რაც შეეხება მიხაკის მყიდველის აღწერილობას, გამყიდველმა ქალმა ვერაფერი თქვა – თავზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატებული, სახეს როლინგში მალავდა, რაც არ გამკვირვებია, რადგან ახალგაზრდა ბიჭებს ხშირად რცხვენიათ ყვავილის ყიდვაო.

მომხდარიდან სამ დღეში, ისევ დაბნელებულზე, ღვინის მაღაზია დააყაჩაღეს. ხელწერა იგივე იყო – ახალგაზრდა ბიჭი მაღაზიაში შევიდა, ერთი ბოთლი იაფფასიანი ღვინო იყიდა ანუ სიტუაცია დაზვერა, მერე კი, მეგობართან ერთად, უკვე ნიღბით შევარდა და 300 მანეთამდე წაიღო, ადგილიდან, ამჯერად „მოსკვიჩით“ მიიმალა. ავტომობილის ნომრები არავის დაუნახავს, ვერც თავდამსხმელთა აღწერა შეძლო ვინმემ და ისინი კვლავ უკვალოდ გაქრნენ. ჰო, იაფფასიანი ღვინის ბოთლი იქვე, ნაგავში ეგდო, მაგრამ როგორც მაღაზიის გამყიდველი ამბობდა, თავდამსხმელს ხელთათმანები ეკეთა, რაც ზამთრის პირობებში, გასაკვირი არ იყო.

„ეს უკვე ყაჩაღობა კი არა, თავხედობა იყო. პრაქტიკულად, დღისით, მზისით, მერე რა, რომ ადრე ღამდებოდა, სამუშაო საათებში, თავხედური ყაჩაღობები ხდებოდა. თავდამსხმელები მსხვილ თანხაზე აშკარად არ ნადირობდნენ, მათ სურდათ, გარანტირებულად წაეღოთ ფული და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი. ისიც ადვილი მისახვედრი იყო, რომ 300 მანეთის წაღების შემდეგ, ცოტას დაისვენებდნენ, მაგრამ აშკარად აზარტში შესულები, საქმეს არ შეეშვებოდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყველაზე მეტად მაძებრებს მანქანები აფიქრებდათ. ორივე შემთხვევაში, ასე ღიად, მანქანებით ადგილზე მისვლა და მერე წასვლა... თანაც, არათუ თბილისის, არამედ, საქართველოს მასშტაბით გადამოწმდა და არცერთი ამ მარკის მანქანა გატაცებული არ იყო და არც ძებნაზე იმყოფებოდა. გამოდიოდა, რომ ყაჩაღები საქმეზე საკუთარი მანქანით მიდიოდნენ და იღბლის იმედად იყვნენ, რომ ვერავინ ვერფერს შენიშნავდა? ეს სრული სიგიჟე და თუნდაც გამოუცდელი თუ გამოცდილი კრიმინალების მხრიდან, უპატიებელი იყო. ასე არ შეიძლებოდა, ასე არ ხდებოდა, ჯერ თავად მაღაზიის ყაჩაღობაა 50/50-ზე, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება, მაღაზიაში მყიდველი შევიდეს, ან დახლს იქეთ, მეორე ოთახში ვინმე იყოს. ახლა კიდევ იმის იმედად ყოფნა, რომ მანქანის ნომერს ვერავინ დაიმახსოვრებს... მანქანის მარკა რომ არ აინტერესებდათ, ცხადზე ცხადი იყო.

ყველაფერთან ერთად, საქმე იმანაც გაართულა, რომ მაღაზიის დირექტორებში გავრცელდა ცნობა, ღამით, ჯერ ერთი ახალგაზრდა შედის და ყიდულობს იაფფასიან ნივთს, შემდეგ კი უკვე ყაჩაღობა ხდება. ჰოდა, რამდენიმე ადგილას, მაღაზიის მფლობელებმა ერთგვარი ჩასაფრებაც კი მოაწყვეს და სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდები სცემეს, ზოგი – რკინეულობის მაღაზიაში, ზოგი – იმავე ყვავილებში. ამიტომ, დირექტორები დაიბარეს, სადაც ჯერ არს და გასაგებად აუხსნეს, თვითშემოქმედებას შეშვებოდნენ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ემოქმედათ, თუ დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ საქმე ყაჩაღებთან ჰქონდათ. მოქმედებაში კი მილიციის განყოფილებაში დარეკვა იგულისხმებოდა.

სამართალდამცავების მოლოდინი გამართლდა – ყაჩაღები ათი დღე არ გამოჩენილან, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ეს დროებითი იყო და როგორც კი გატაცებული ფული გათავდებოდა, ისინი მორიგ საქმეზე გავიდოდნენ. ასეც მოხდა – ზარი ნაჭრების მაღაზიიდან შევიდა. სქემა იგივე გახლდათ – ახალგაზრდა ბიჭი მაღაზიაში შევიდა, მდგომარეობა შეაფასა, არაფერი უყიდია და ცოტა ხანში, მეგობართან ერთად დაბრუნდა, გამყიდველს იარაღი დაადო და მუქარით თანხა გაიტაცა. თავდამსხმელები ამჯერადაც „ჟიგულის“ მარკის ავტომობილით მიიმალნენ, რამაც ადგილზე მისული გამომძიებლები გააცოფა, თუმცა... იქვე, დახლის მეორე მხარეს, გამყიდველის დაქალი იყო, რომელიც არც პირველ ჯერზე ჩანდა და არც – მეორეზე, რადგან ჩამოკიდებულ ნაჭრებს იყო ამოფარებული. პირველ ჯერზე, თავად არ გამოვიდა, მეორედ კი, შეიარაღებულებს შეგნებულად აღარ დაენახა. მას საამისო მიზეზიც ჰქონდა – პირველად შემოსული ახალგაზრდა ბიჭი იცნო, რადგან ის მეზობლად ცხოვრობდა.

„შემოსულმა სახე მას შემდეგ დამალა, რაც მაღაზიის კარი დახურა. თვალი მოვკარი თუ არა, მაშინვე ვიცანი, მაგრამ არ გამოვსულვარ, ცოტა უჟმური ვინმეა. მერე კი, როცა საყაჩაღოდ შემოვიდნენ, მივხვდი, ის იყო, იგივე ტანსაცმელი ეცვა, თუმცა სახეზე ნიღაბი ეკეთა. ჩემი მეზობელია და როგორც ვიცი, სადღაც, მანქანების სახელოსნოში მუშაობს“, – განაცხადა მოწმემ.

ახლა ცხადი იყო, საიდან ჰყავდათ თავდამსხმელებს ახალ-ახალი მანქანები. უდიდესი ალბათობით, ავტომფლობელები მათ გასაკეთებლად უტოვებდნენ და ისინიც იყენებდნენ. თუ ჩავარდებოდნენ, მანქანას მიატოვებდნენ და გაიქცეოდნენ. ყველაფრის მიუხედავად, ახლა მთავარი ეჭვმიტანილის დაკავება არ შეიძლებოდა. ჯერ ერთი, გამოძიებას მტკიცებულება არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ გოგონამ ნაჭრების მეორე მხრიდან იცნო მეზობელი და მთავარი – არ იცოდნენ, ვინ იყო მეორე დამნაშავე. ამიტომ, გადაწყდა, მანქანების ხელოსანზე თვალთვალი დაეწესებინათ. ყველაფერთან ერთად, გაირკვა, რომ სახელოსნოში მთავარი კაცი ომის ვეტერანი, ყველასგან პატივცემული პიროვნება იყო და სამართალდამცავები მას იმდენად ენდობოდნენ, რომ საღამოს სახლში მიაკითხეს და საქმის ვითარება გააცნეს. მოხუცმა თავში ხელი შემოირტყა, მე თავად ვაძლევდი მანქანებს, მეუბნებოდა, 1-2 საათი წავიტაქსავებო. ახალგაზრდა ბიჭია, მეცოდებოდა, დამატებითი შემოსავალი ექნება, ცოლს მოიყვანს, ოჯახს მოაწყობს-მეთქი. მოთქვამდა კაცი, მაგრამ შემდეგ მტკიცედ თქვა, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებო და სამართალდამცავებსაც მხოლოდ ერთი თხოვნა ჰქონდათ – შემდეგ ჯერზე, როცა ბიჭი მანქანას სთხოვდა, უარი არ ეთქვა.

ძალოვნებმა სავარაუდო „პადელნიკის“ ვინაობაც გაარკვიეს. ის უკან კორპუსში მცხოვრები ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომელიც იქვე, მაღაზიაში, მტვირთავად მუშაობდა. სამართალდამცავებს დიდხანს თვალთვალი არ დასჭირვებიათ – ბიჭებმა მალევე მოიხელთეს მანქანა და პურის მაღაზიას მიადგნენ. სქემა ისევ ისე გათამაშდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბიჭებს მანქანაშიც და მანქანასთანაც ოპერმუშაკები ელოდნენ, თანაც მანქანას კვება გათიშული ჰქონდა, ვერ დაქოქავდნენ და როცა ორივე შიგნით ჩახტა, მილიციის მანქანებიდან შუქები მიანათეს, ოპერმუშაკებმა მინას იარაღი მიუშვირეს და სანამ ბიჭები აზრზე მოვიდოდნენ, ცივი ლულა კეფაზეც იგრძნეს – უკანა სავარძელზე ორი თანამშრომელი იჯდა.

„ასე, შემთხვევით გავხსენით ეს საქმე და პრაქტიკა მომავალშიც დაგვეხმარა. არა ერთი და ორი შემთხვევა იყო, როცა სახელოსნოებიდან მანქანები მიჰყავდათ კრიმინალური საქმეებისთვის და მერე აბრუნებდნენ“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

„მინდა, ადამიანებმა იგრძნონ ტკივილი“

ვინ არის მამაკაცი, რომელიც ქალებს სადარბაზოებში ხვდება, ძარცვავს და სხეულს დანით უსერავს

ბათო ჯაფარიძე

არაერთხელ გაგიგონიათ, რა უჭირდა იმის ფასი, ეს რომ გააკეთაო. სხვის ომში ყველა ბრძენიაო და ხალხი ფიქრობს, რომ ვიღაც სხვანაირად უნდა მოქცეულიყო, კონკრეტულ შემთხვევაში, ესა თუ ის საქციელი არ უნდა ჩაედინა, მაგრამ ურემი რომ გადაბრუნდება და გზა გამოჩნდება, მაშინ ყველაფერი ძალიან ადვილია. მანამდე კი... ხშირად შეცდომებს მშობლებიც ვუშვებთ, მაგრამ ამის აღიარება გვიჭირს და გვიჭირს მაშინაც კი, როცა ზუსტად ვიცით, რომ დავაშავეთ და შვილს რაღაც დავაკელით. უფრო სწორად, კი არ დავაკელით, გაგვეპარა კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ მომენტში, უდროობის ან იმ დროის უხასიათობის გამო, არ მოვუსმინეთ, არ შევისმინეთ...

საბჭოთა კავშირში სერიული მკვლელებისა თუ მანიაკების არსებობა მხოლოდ მაშინ აღიარეს, როცა ნამდვილი სატანა, ანდრეი ჩიკატილო დააკავეს. ამის დამალვა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. 20 წლის განმავლობაში, ეს ადამიანი კლავდა ბავშვებს, მოზრდილებს, გარდაცვლილებს აუპატიურებდა, რამდენიმეს სხეულის ნაწილიც მოაჭრა და შეჭამა. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა საქართველოში, როცა ერთი თვის განმავლობაში, ერთი და იმავე ხელწერით, სამი დანაშაული მოხდა. ახალგაზრდა გოგონებს ვიღაც სადარბაზოში ხვდებოდა, მძივსა და საყურეებს ხსნიდა და მკერდზე დანას უსვამდა. ჰო, არ კლავდა, უბრალოდ, სხეულს უსერავდა და შემთხვევის ადგილიდან გარბოდა.

პირველი შემთხვევა ჩვეულებრივ კრიმინალურ ძარცვად შეფასდა, მეორე შემთხვევამ ძალოვნები უკვე ჩააფიქრა, მესამე შემთხვევის შემდეგ კი, არაოფიციალურად, თათბირზე აღიარებულ იქნა – საქმე სერიულ დამნაშავესთან ჰქონდათ, რომელიც მკაცრად გაწერილი გეგმით მუშაობდა და რაც მთავარია, კვალს არ ტოვებდა. დაზარალებულები დამნაშავის სახის აღწერას ვერ ახერხებდნენ, რადგან სახე დაფარული ჰქონდა და თავს მოულოდნელად ესხმოდა. ხელწერა ყოველთვის ერთი იყო და შემთხვევებს ისიც აერთიანებდა, რომ ქალები შინ მეტროთი ბრუნდებოდნენ ანუ დამნაშავე სწორედ მეტროში ირჩევდა მსხვერპლს, შემდეგ სადარბაზომდე მიჰყვებოდა, სადარბაზოში შესულებს კი მოულოდნელად ესხმოდა თავს, ერთი ხელით (ხელზე ხელთათმანი ეკეთა) პირს უფარავდა, რომ არ ეყვირათ და აიძულებდა, ოქროული მოეხსნათ, შემდეგ კი იმ დანით, რომელიც მეორე ხელში ეჭირა, ჭრილობას აყენებდა და გარბოდა. ყველაფერი ღამის საათებში ხდებოდა და კორპუსებს შორის გასაძრომებში დამნაშავის კვალი იკარგებოდა. დაზარალებული ქალები ამბობდნენ, რომ თავდამსხმელი, სავარაუდოდ, ახალგაზრდა, მაღალი და საკმაოდ ძლიერი იყო, რადგან ხელებს რკინის სალტეებივით აჭდობდა და განძრევის შესაძლებლობას არ აძლევდა.

ოპერმუშაკებმა მეტროს სადგურებთან პატრულირება დაიწყეს. ისინი სამოქალაქო ფორმაში იყვნენ გადაცმულნი და სწორედ მაღალ, ძლიერი აღნაგობის ბიჭებს აკვირდებოდნენ. მართალია, ვისაც საეჭვოდ მიიჩნევდნენ, უკან მიჰყვებოდნენ, მაგრამ ორკვირიანმა პატრულირებამ შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, კიდევ ერთი თავდასხმის ფაქტი დაფიქსირდა და ამჯერადაც ყველაფერი ერთი-ერთში მოხდა. რაც მთავარია, ოქროს შემსყიდველების შემოწმებამ უშედეგოდ ჩაიარა – თავდამსხმელი ნაძარცვ ნივთებს ან არ ყიდდა, ან ისე ყიდდა, რომ რომელიმე ოქრომჭედელი ხელს აფარებდა. ორივე შემთხვევაში, სამართალდამცავებისთვის სანუგეშო არაფერი იყო. პატრულირება გაგრძელდა და ძალოვნები იღბლიან შემთხვევას ელოდნენ, მაგრამ იღბალი არსად ჩანდა. ამის მიუხედავად, მორიგი თავდასხმის დროს, შემთხვევით, მეზობელმა გამოიხედა და მაშინვე მილიციაში დარეკა. სამართალდამცავებმა მთელი უბანი, პრაქტიკულად, ალყაში მოაქციეს და ბრძანებაც მიიღეს – დაეკავებინათ ყველა, ვინც საშუალოზე მაღალი და სპორტული აღნაგობის იქნებოდა. ასეთი 13 პირი აღმოჩნდა და ყველა განყოფილებაში მიიყვანეს. დაკითხვისა და გადამოწმების შედეგად, საეჭვო მხოლოდ ორი პირი შერჩათ – ერთს ჯიბეში ნარკოტიკი უპოვეს, მეორე კი ძარცვისთვის ორჯერ იყო ნასამართლევი, მაგრამ არც ნარკოტიკი და არც ნასამართლეობა არ იყო იმის საფუძველი, რომ რომელიმესთვის ბრალი წაეყენებინათ, თანაც ერთსაც ვერ უპოვეს ხელთათმანი, დანა და წართმეული ოქროს საყურეები. ამიტომ, ყველა დაკავებული გაათავისუფლეს და მესამე დღეს...

ერთ-ერთმა ოქრომჭედელმა დარეკა, რომ ვიღაცამ ოქროს საყურეები მიუტანა და კაცი იმდენად დაბნეულად იქცეოდა, რომ ოქრომჭედელს საეჭვოდ ეჩვენა. ამიტომ, ფულისთვის ორი საათის შემდეგ დაიბარა და ძალოვნებს შეატყობინა. სამართალდამცავებმა ჩასაფრება მოაწყვეს და 60 წელს მიტანებული მოხუცი დააკავეს. საყურეები ზუსტად ის იყო, რომელიც ბოლო თავდასხმის დროს შეხსნეს დაზარალებულს.

„რა ყაჩაღობა და ძარცვა, მეეზოვე ვარ. ეს საყურეები კი ორიოდე დღის წინ, დილით, სანაგვე ყუთში ვიპოვე. დანასთან და ხელთათმანებთან ერთად ეგდო, მაგრამ ისინი არ ავიღე, შემეშინდა“, – განაცხადა მოხუცმა.

ეს კი ერთადერთ რამეს ნიშნავდა – იმ დღეს მილიციის თანამშრომლებმა ნამდვილი დამნაშავე დააკავეს. როცა მთელი უბანი გადაიკეტა, დამნაშავე მიხვდა, რომ შეიძლებოდა დაეკავებინათ, ამიტომ ნივთმტკიცება მოიშორა და დაკითხვაზეც ძალიან მშვიდად მოიქცა ანუ რეალური დამნაშავე იმ 13-დან ერთ-ერთი იყო, მაგრამ რომელი? გამომძიებლებმა ყველას შესწავლა დაიწყეს, მაგრამ კვლავ მხოლოდ იმათზე შეჩერდნენ, რომლებზეც ეჭვი ადრევე შეეპარათ – ნარკოტიკების მომხმარებელსა და ორჯერ ნასამართლევზე. ამიტომ, მათ თვალთვალი დაუწყეს და ამაოდ – მორიგი ძარცვა მალევე მოხდა და ამ დროს, ორივე ეჭვმიტანილი ოპერმუშაკების თვალთახედვის არეში იყო ანუ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. იმის გამო, რომ საქმე უკვე მოსკოვამდე იყო მისული, გამოიყო შესაბამისი ოდენობის თანამშრომელთა რაოდენობა და თვალთვალი უკვე დარჩენილ 11 პირზე დაწესდა. დაიწყო ნერვების თამაში და მოლოდინის რეჟიმი, რომელიც არავინ იცოდა, რამდენხანს გაგრძელდებოდა. მეტიც, სამართალდამცავები უმძიმეს დღეში აღმოჩნდებოდნენ, თუ დანაშაული კვლავ მოხდებოდა და 11 ობიექტიდან დამნაშავე ერთიც არ იქნებოდა, თუმცა...

კვირაზე მეტი იყო გასული, როცა ერთ-ერთმა ჯგუფმა დარეკა – დამნაშავე შევიპყარით, ფაქტზე დავაკავეთ, მან არა მხოლოდ ქალის დაჭრა მოასწრო, დანა ერთ-ერთ ოპერმუშაკსაც დაუსვა, მაგრამ მეორემ მოახერხა და გაქცეულს ტყვია დაადევნა, ფეხში გაარტყა და დააკავა. დაკავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს და როცა მისი ვინაობა გაიგეს, გამომძიებლებმა პირი დააღეს. ეს იყო 11-დან ერთ-ერთი, მაგრამ ისეთი, რომელიც თავიდანვე გამორიცხეს შესაძლო დამნაშავეების სიიდან, რადგან მისი მშობლები – დედაც და მამაც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდნენ და მეტიც, მამამისს დიდ პარტიულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. როცა დაკავებულის მშობლებმა მომხდარის შესახებ გაიგეს, საავადმყოფოსთან მივიდნენ და ლამის მეორედ მოსვლა მოაწყვეს, თუმცა მათ აუხსნეს, რომ შვილის წინააღმდეგ უტყუარი ფაქტები ჰქონდათ და ისინი ვეღარაფერს შეცვლიდნენ.

„შეიძლება ითქვას, ფუფუნებაში გავიზარდე, ყველა თანატოლს ჩემი შურდა, რადგან მქონდა უამრავი სათამაშო, მქონდა ველოსიპედი, მაგრამ როცა გავიზარდე, მშობლები, პრაქტიკულად, არცერთ სურვილს არ მისრულებდნენ. მეტიც, როცა ყოფილი თანაკლასელები, ან მოქმედი თანაჯგუფელები სადმე მიდიოდნენ გასართობად, მშობლები იქ წასასვლელ ფულსაც არ მაძლევდნენ, მეუბნებოდნენ, ფულის ყადრი უნდა ისწავლო და არ უნდა გაფანტოო. არადა, საუბარი სულ რაღაც 10 და 20 მანეთზე იყო და ეს მაშინ, როცა დედაჩემი სილამაზის სალონებში, ვარცხნილობასა და მანიკურზე, კვირაში 30 მანეთს ხარჯავდა, მამაჩემის ერთი შარვალ-კოსტიუმი, რომელიც სპეციალურად ჩეხეთიდან ან იუგოსლავიიდან ჩამოჰქონდათ, 300 მანეთი ღირდა. ამიტომ, გადავწყვიტე, ფული ჩემით მეშოვნა და ვშოულობდი ისე, როგორც შემეძლო. რაც შეეხება იმას, რატომ ვსერავდი ქალებს, მინდოდა, ადამიანებს ეგრძნოთ ტკივილი, ისეთი ტკივილი, როგორსაც მე ვგრძნობდი. მთელი სხეული დასერილი მაქვს უხილავი იარებით“, – განაცხადა დაკავებულმა.

რაც შეეხება ნაძარცვ ოქროს, დამნაშავე მარტივად იშორებდა, ოქრო საქართველოში ყოველთვის ფასობდა და სამკაულებს სოლიდურად ჩაცმულ ქალბატონებს სთავაზობდა მესამედ ფასად. ასე ყიდდა და მართალია, უდიდესი ალბათობით, მყიდველები ხვდებოდნენ, რომ ეს ოქროული მოპარული იყო, მაგრამ მესამედ ფასს დიდი სიამოვნებით იხდიდნენ, მით უმეტეს, ისეთ ადამიანთან, რომელსაც პირველად ხედავდნენ და სავარაუდოდ, აღარასოდეს შეხვდებოდნენ. სასამართლომ ყველა საქმე გააერთიანა და დაკავებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მშობლებმა „უღირსი შვილის“ დაცვა გადაიფიქრეს, მასზე უარიც კი თქვეს, მაგრამ ამან არ უშველა – ორივეს კარიერას ჯვარი დაესვა.

ბათო ჯაფარიძე

ამასწინათ, ერთ-ერთ კანონმდებელს შევჩივლე, არ შეიძლება, აზარტული თამაშები საერთოდ რომ აიკრძალოს-მეთქი და გაგიჟდიო, ამ თანხას რომ არ ვატოვებინებდეთ ტურისტებს და განსაკუთრებით, აზიიდან შემოსულებს, ბიუჯეტს რა შეავსებდაო. როგორც გვეუბნებიან, თანხის ძირითად ნაწილს, სწორედ უცხოელები აგებენ, მაგრამ ძალიან აქტიურად თამაშობენ საქართველოს მოქალაქეებიც და თამაშის გამო დაკარგული ბინები, დანგრეული ოჯახები და სუიციდის შემთხვევები, ქართული სინამდვილისთვის უცხო ხილი არ არის. აი, კომუნისტების დროს კი, კაზინოს ხსენებაც აკრძალული იყო. ამიტომ, თამაშზე ოცნება რიგით ადამიანებს არ შეეძლოთ, თუმცა შეძლებულები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე სათამაშოდ და დიდი თანხებიც იდებოდა. ასე განსაჯეთ, კონკრეტული პირები სათამაშოდ 10 და 20 ათასი მანეთით სხდებოდნენ, რაც მაშინ უზარმაზარი თანხა იყო. თამაშობდნენ მსახიობები, ცნობილი ადამიანები, მაღალჩინოსნები... ისინი, ძირითადად, ისეთი ადამიანის სახლში იკრიბებოდნენ, სადაც სამართალდამცავები გასაჩხრეკად და შესამოწმებლად არ მივიდოდნენ. მართალია, რეალურად, ყველამ იცოდა, იქ რა ხდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც მილიცია, ისე – უშიშროება თვალს ხუჭავდა. თუმცა, როგორც კი ვინმეს „გაფუჭება“ დასჭირდებოდათ, ერთ-ერთი ბრალდება ესეც იყო.

რატომ მოაწყო უშიშროებამ სპეცოპერაცია სამართალდამცავის კორპუსში

საიდუმლო კაზინოს სკანდალური საქმე

„ერთ დილით, მეეზოვემ დარეკა განყოფილებაში, სანაგვეში ახალგაზრდა ბიჭი გდია, მგონი, მკვდარიაო და, რა თქმა უნდა, მაშინვე შემთხვევის ადგილზე გავედით. პარალელურად, მორიგემ სასწრაო დახმარების მანქანას დაურეკა და არცთუ ტყუილად – ადგილზე მისულებს ბიჭი ცოცხალი დაგვხვდა, მაგრამ დაბეჯითებით ვერც ექიმებმა თქვეს, გადარჩებაო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე ექსპერტები დარჩნენ, სამართალდამცავთა ნაწილი კი სასწრაფოს მანქანას გაჰყვა. დაზარალებულს ოპერაცია სჭირდებოდა და როგორც წესი, მისი ტანისამოსი ძალოვნებს გადასცეს. ტანსაცმლის ჩხრეკისას, ჯიბეში საფულე – უმნიშვნელო თანხით და რაღაც პლასტმასის რგოლები იპოვეს, რომელზეც ციფრები ეწერა. ჰო, მაშინ ოპერმუშაკებმა არ იცოდნენ, როგორ გამოიყურებოდა კაზინოში სათამაშო „ფიშკა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში არათუ სათამაშო სახლი არსებობდა, არამედ, იქ ნამდვილი, ე.წ. კაპიტალისტური ატრიბუტიკა ჰქონდათ. ასეთ დროს, შსს ვალდებული იყო, საქმეში უშიშროების კომიტეტი ჩაერთო და საავადმყოფოში „კა-გე-ბე“-ს თანამშრომლები გამოჩდნენ, რომლებმაც ნაპოვნი „ფიშკები“ ექსპერტიზაზე წაიღეს.

ბიჭის ვინაობა მალე გაარკვიეს, რომელიც არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა იყო. საერთოდ არაფრით გამორჩეული სტუდენტი გახლდათ, დაუსწრებელზე სწავლობდა, პარალელურად, ერთ-ერთი საამქროს საწყობში მუშაობდა და ჩვეულებრივი, სტუდენტური შემოსავალი ჰქონდა. სახლში და და დედ-მამა ჰყავდა, რომელბსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა იყო კაზინო და ზოგადად, თამაშობდა თუ არა აზარტულ თამაშებს მათი შვილი. მეტიც, ისინი ამბობდნენ, რომ ბიჭი ღამით სამსახურში კვირაში ორჯერ მაინც რჩებოდა და ამისთვის დამატებით ხელფასს იღებდა, ფული მოჰქონდა და ყველა ბედნიერი იყო. საამქროში კი ამბობდნენ, რომ საწყობში ღამის ცვლა არ იყო და პირიქით, ბიჭი მუდმივად იმას ცდილობდა, სამსახურიდან რაც შეიძლება, ადრე წასულიყო და თანამშრომლებს რამე რომ არ ეთქვათ, პატივისცემაც არ ავიწყდებოდა, ხან კონიაკი მიჰქონდა, ხან – ღვინო ანუ ბიჭს ფული ჰქონდა, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც საწყობში უხდიდნენ და გამოდიოდა, რომ ყველაფერი ეს, უბრალოდ, ფარად სჭირდებოდა, რათა ეჭვი არავის აეღო. რაც შეეხება სასწავლებელს, მეგობრები, პრაქტიკულად, არ ჰყავდა, რადგან დაუსწრებელზე მეგობრების შეძენა ცოტა რთულია.

„იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში უშიშროებაც იყო ჩართული, ყველა ნაბიჯს მას ვუთანხმებდით. დავკითხეთ მეზობლები, სანათესაო, სამეგობრო, რომელიც ძალიან მცირერიცხოვანი იყო და დაკითხვის დროს, მაგიდაზე ყოველი შემთხვევისთვის, „ფიშკებიც“ დავდეთ, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. ისე ჩანდა, რომ ბიჭი არსაიდან მოვიდა და ჯიბეში აღმოაჩნდა ის, რამაც ყველა ფეხზე დააყენა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

უშიშროებამ უბნის რწმუნებულიც გვარიანად აჯანჯღარა, შენს ტერიტორიაზე კაზინოა გახსნილი, შენ კიდევ აზრზეც არ ხარო, მაგრამ იმ საწყალმა ბიჭმა თავი გაიგიჟა, კაზინო რა არის, წარმოდგენა არ მაქვს და რომ ვიცოდე, ვიტყოდიო. ამის შემდეგ, უშიშროების წარმომადგენლები (შსს-ს თანამშრომლებს ამას არავინ დაანებებდა) ელიტაზე გადაერთვნენ და დაკითხეს კინოსა და თეატრის მსახიობები, მოცეკვავეები, კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები, ის ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ ხშირად დადიოდნენ და შემჩნეულნი იყვნენ აზარტულ თამაშებში – არა მარტო მონაწილეობაში, არამედ, მოწყობაშიც კი. დაკითხვისას, ყველამ ხელები გაასავსავეს, აზრზე არ ვარტო. უშიშროებამ ისიც იცოდა, რომ ერთ-ერთი მსახიობის ოჯახში „რულეტკა“ იყო მოწყობილ-აწყობილი და „ფიშკები“ იქაც ჰქონდათ. შეადარეს, სხვა აღმოჩნდა. ესენი ბევრად ხარისხიანი იყო, ბევრად უკეთესი.

ერთადერთი ვარიანტი კრიმინალური სამყარო დარჩა, თუმცა უბედურება ის იყო, რომ გამოცდილი კრიმინალები უპირატესობას ბანქოს ან კამათელს ანიჭებდნენ და მათმა უმრავლესობამ არც კი იცოდა, რა იყო „რულეტკა“ და მით უმეტეს, „ფიშკები“, თუმცა როგორც შსს-მ, ისე უშიშროებამ, აგენტურული ქსელი მთლიანად ფეხზე დააყენა, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. შეამოწმეს ყველა საეჭვო ობიექტი, მიტოვებული შენობები, მაგრამ ვერაფრის კვალს ვერ მიაგნეს. ბედად, არც ბიჭი მოდიოდა აზრზე, რომ დაეკთხათ და მისთვის მაინც ეთქმევინებინათ, რა მოხდა და საიდან ჰქონდა ის, რამაც ძალოვნებს ძილი დაუფრთხო. ექიმები ამბობდნენ, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება, ბიჭი ორ კვირაში მოვიდეს აზრზე, მაგრამ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაკთხვის უფლებას ერთ თვეშიც კი ვერ მოგცემთო. ეს ძალიან დიდი დრო იყო, რადგან კაზინოს ორგანიზატორებს მარტივად შეეძლოთ, ყველაფერი მიეხურათ და უბრალოდ, გამქრალიყვნენ, თანაც გამქრალიყვნენ არა მარტო იმ ადგილიდან, არამედ, რესპუბლიკიდანაც, რასაც განსაკუთრებით უშიშროება ვერ დაუშვებდა.

„უიმედო მდგომარეობა გვქონდა და ერთ საღამოს კარი ძველმა აგენტმა შემომიღო. მისი დანახვა გამიხარდა, ტყუილად არ მოდიოდა ხოლმე და ახლაც რაღაც სერიოზულის იმედი მქონდა. მან კი, ძალიან უცნაური და თითქოს არაფრისმომცემი რამ თქვა – თქვენი უბნის რწმუნებული, რომელიც დაკითხვაზე ატირდა, სინამდვილეში, კარგი გაქექილი ვინმეა და მეორე დღეა, ისეთ პირს ეძებს, რომელიც ერევანში სახლის ყიდვაში დაეხმარებაო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მილიციის ახალგაზრდა თანამშრომლისთვის მოულოდნელად ერევანში წასვლა და იქ სახლის ყიდვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანდა. სამართალდამცავებმა მისი გვარი შეისწავლეს, გადაკეთებული ხომ არ აქვს, სომეხი ხომ არ არის და სისხლმა ხომ არ უყივლაო, მაგრამ მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინეს. ამიტომ, თვალთვალი დაუწყეს და მესამე დღეს, მისივე კორპუსის სარდაფში ჩასული დაინახეს. სარდაფიდან უბნის რწმუნებული, დაახლოებით, 15 წუთში უკან დაბრუნდა და სადარბაზოში რიგ-რიგობით დაიწყო ადამიანების შეშვება. ის თავად აცილებდა მათ სარდაფის კარამდე, შემდეგ 2-3 წუთიან ინტერვალს აკეთებდა და ახალ ადამიანს მიაცილებდა. ძალოვნებმა ორი „კანონიერი ქურდი“ იცნეს, მათ გარდა, ორი საკმაოდ დიდი მაღალჩინოსანი და ერთი პარტიული მუშაკი. 15 წუთში, სადარბაზოს შესასვლელთან სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა, რომელშიც უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ისხდნენ. ისინი დაელოდნენ, სანამ სარდაფში თავად უბნის რწმუნებულიც ჩავიდოდა და შტურმი დაიწყეს. ყველაფერი არცთუ მარტივი გამოდგა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა – მასიური რკინის კარის საკეტი ავტომატის ჯერსაც კი არ დაემორჩილა და საბოლოოდ, მისთვის მცირე მოცულობის ბომბი გამოიყენეს. კარი აფეთქდა, თუმცა იქ შესულ სპეცრაზმს სრული სიცარიელე დახვდა. სარდაფი ჯერ მეორე სადარბაზოს სარდაფს, შემდეგ კი მესამე სადარბაზოს უკავშირდებოდა. მესამე სადარბაზოსთან არავინ იდგა, მაგრამ როგორც კი იქიდან ხალხმა დაიწყო გამოსვლა, სამართალდამცავები მალევე გამოერკვნენ და თითქმის ყველას დაკავება მოახერხეს. აბსოლუტურად ყველა დაკავებული უშიშროების იზოლატორში წაიყვანეს.

„როგორც შემდეგ გავიგეთ, მხოლოდ რამდენიმე პირი დააკავეს, მაღალჩინოსნებსა და „კანონიერ ქურდებს“ არ შეეხნენ. ყველაფერ ამის ორგანიზატორი სომხეთის მოქალაქე იყო, რომელიც ჩვენი უბნის რწმუნებულთან ერთად, ჯარში მსახურობდა. ბიჭი კი მას შემდეგ დაჭრეს, რაც თამაშის დროს, თაღლითობა შენიშნეს. ის სამაგალითოდ, ყველას თვალწინ დასაჯეს. უბნის რწმუნებული მიხვდა, რომ მალე ჩაავლებდნენ, ამიტომ სომხეთში გადასვლას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. უშიშროებამ გვირჩია, რომ ეს საქმე დაგვეწყებინა და ამ თემაზე არ გვესაუბრა. პრინციპში, ეს უთქმელადაც ვიცოდით“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარ სამმართველოში, 2022 წლის 18 დეკემბერს, დაიწყო გამოძიება თბილისში, ამავე დღეს მომხდარ განზრახ მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით). გამოძიებით დადგინდა, რომ 1987 წელს დაბადებულმა გ.ს.-მ, თანმხლები პირის – 1989 წელს დაბადებულ გ.გ.-ს თანდასწრებით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, თავის არეში ჭრილობა მიაყენა 1983 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მუცლის არეში დაჭრა 1966 წელს დაბადებული ზ.გ., რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. დანაშაულის ჩადენისთანავე, ორივე პირი შემთხვევის ადგილიდან ავტომობილით მიიმალა.

დანაშაულის ჩამდენი პირების ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, ღონისძიებებში ჩაერთნენ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც, მათი ადგილსამყოფელის ირგვლივ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სხვადასხვა მისამართებზე, ერთად გამოცხადდნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, გ.ს.-ის ნათესავის სახლში, სადაც მათ ადგილზე დახვდათ გ.ს.

პოლიციელების დანახვისთანავე, გ.ს.-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, ჯერ მიუშვირა პოლიციის თანამშრომლებს, ხოლო შემდეგ თავზე მიიდო და განახორციელა გასროლა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ ამავე სახლში მყოფი გ.გ. და პოლიციის თანამშრომლები.

სამართალდამცველებმა, 18 დეკემბერს, თბილისში მომხდარ განზრახ მკვლელობისა და დაჭრის ფაქტის დაფარვის ბრალდებით, სსკ-ის 375-ე მუხლით, 1989 წელს დაბადებული გ.გ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მომხდარ გ.ს. თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური. შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამოძიების პროცესში.

ქრთამის აღების ბრალდებით, შსს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქრთამის აღების ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი – ბ.კ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მოქალაქის მიერ თვითნებურად გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, გარკვეული რაოდენობის თანხა აიღო, რათა შემდგომ მომსახურების სააგენტოში აღნიშნული ავტომობილის რეგისტრაცია უპრობლემოდ მომხდარიყო.

ქრთამის აღების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

იმერეთის პოლიციამ ხონში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული გ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 17 დეკემბერს, ხონის მუნიციპალიტეტში, ცივი იარაღით 2 ჭრილობა მიაყენა 1989 წელს დაბადებულ გ.ჩ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, გ.ჩ. ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი დანა – ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ საქართველოს ბანკის დაყაჩაღების ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე– საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ი.ჯ. ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 დეკემბერს, ბრალდებული თავს დაესხა საქართველოს ბანკის ერთ-ერთ ფილიალს, იარაღის მუქარით თანხა გასტაცა ბანკის თანამშრომელს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი და თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

ქალთა და ოჯახში ძალადობის თემების მედია გაშუქების საკითხებზე გამართულ შეხვედრაში მონაწილე პირებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაიამ, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროსმა სარა რუპერტმა.

სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც სხვადასხვა მედიასაშუალების ოცამდე წარმომადგენელი ესწრებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ოსაძემ, ასევე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორმა მერი მაღლაფერიძემ ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია ქალზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მედიასაშუალებების წარმომადგენლების გარდა აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ყველა შესაბამისი დანაყოფის წარმომადგენლებმა.

ორდღიან სამუშაო შეხვედრაზე, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დეტალურად გასცნობოდნენ და მოწვეულ ექსპერტთან ერთად განეხილათ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ძალადობის შემთხვევების ეთიკური გაშუქება, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები, მედიის როლი გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესი და სხვა. ასევე, მათ ინფორმაცია მიიღეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობებისა და სიახლეების შესახებ.

აღნიშნული შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინიციატივით, ჯანდაცვის სამინისტროს აქტიური ჩართულობით, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით გაიმართა. INL საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მრავალი წელია თანამშრომლობს ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, კიბერდანაშაულისა და სხვა აქტუალური საკითხების მიმართულებებით.

ფეხბურთის მესი(ა) მსოფლიოს ჩემპიონია, ხორვატია – მესამეა

საფეხბურთო დრამა, საოცრება, რაც გნებავთ, ის დაარქვით – მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ფინალი იყო ის, რისთვისაც ფეხბურთს სპორტის სახეობებში ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. საფეხბურთო სამყარომ იხილა ყველაფერი, რისი ხილვაც კი ერთ მატჩში შეიძლება და... მატჩამდე, საფრანგეთის ნაკრების თავკაცი, დიდიე დეშამი ამბობდა, ბევრ ფრანგსაც კი სურს, მესი მსოფლიოს ჩემპიონი გახდესო და მართლაც, ლიონელს ეს ჯილდო ან ახლა უნდა მოეგო, ან აღარასოდეს. ჰოდა, მოიგო, ახალი ისტორია დაწერა და ახლა თამამად შეუძლია თქვას, რომ ყველაფერი მოგებული აქვს, რისი მოგებაც კი ფეხბურთშია შესაძლებელი, თანაც როგორც სანაკრებო, ისე – საკლუბო დონეზე. ამ ჩემპიონატს შემდეგ ნომრებში კიდევ დავუბრუნდებით, ბევრს ვისაუბრებთ საინტერესო დეტალებზე, მანამდე კი...

მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე 26-ე თამაში ჩაატარა და რეკორდი დაამყარა. მან ლოთარ მათეუსის შედეგი გააუმჯობესა, რომელსაც მუნდიალზე 25 მატჩი აქვს ჩატარებული.

საფრანგეთი პირველი გუნდია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, პირველ ტაიმში, დარტყმის მცდელობა ერთხელაც არ ჰქონია. ასევე, პირველივე

შემთხვევაა, როცა ეს საფრანგეთის ნაკრებს მუნდიალზე დაემართა (1966 წლიდან).

მესიმ ამ მუნდიალზე 4 პენალტი გაიტანა, რითაც ეუსებიოსა (1966) და რობ რენსებრინკის (1978) რეკორდი გაიმეორა. ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამაზე მეტი პენალტი არავის გაუტანია.

მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლი 35 წლისა და 177 დღის ასაკში გაიტანა. მასზე ხანდაზმულს, ფინალში გოლი, მხოლოდ ნილს ლიდჰოლმს აქვს გატანილი (1958 წელს) – 35 წლისა და 264 დღის ასაკში.

მესი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ერთ კონკრეტულ მუნდიალზე ყველა სტადიის მატჩში გოლი გაიტანა – ჯგუფში, მერვედფინალში, მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში.

უგო ლორისმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-20 თამაში ჩაატარა და მეკარეებში რეკორდსმენი გახდა. მან მანუელ ნოიერს (19 თამაში) აჯობა. გარდა ამისა, ლორისი რიგით მეორე ყველაზე ხანდაზმული კაპიტანია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა (35 წლის და 357 დღის). მასზე ასაკოვანი მხოლოდ დინო ძოფი იყო 1982 წლის მუნდიალის ფინალში, როცა მან იტალიას 40 წლისა და 133 დღის ასაკში უკაპიტნა.

მბაპე მე-5 ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ორ ფინალში გოლი გაიტანა ვავას, პელეს, პოლ ბრაიტნერისა და ზინედინ ზიდანის შემდეგ. მბაპემ დუბლი 97-წამიან ინტერვალში შეასრულა. ის პირველი ფეხბურთელია რონალდოს შემდეგ, რომელმაც 2002 წლის მუნდიალის ფინალში დუბლი შეასრულა.

მბაპე, ჯეფრი ჰერსტის შემდეგ, მეორე ფეხბურთელია, რომელმაც მუნდიალის ფინალში ჰეთ-თრიკი შეასრულა. მან გაასწრო პელეს, ზინედინ ზიდანს, ვავას და ჯეფრი ჰერსტს ფინალში გატანილი გოლებით (4 გოლი – 3-3 გოლთან). ის მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა (8 გოლი). სულ კი მის ანგარიშზე 12 გოლია (2018 წლის ჩათვლით).

არგენტინა მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. უკეთესი შედეგი მხოლოდ ბრაზილიას (5), გერმანიასა (4) და იტალიას (4) აქვთ. არგენტინა მეორე გუნდია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მიუხედავად პირველ ტურში მარცხისა. პირველად ეს 2010 წელს, ესპანეთმა გააკეთა.

რაც შეეხება ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლას, იმის გათვალისწინებით, რომ მესამე ადგილს ერთმანეთს ხორვატია და მაროკო ეცილებოდნენ, შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ხშირადაა ხოლმე, როცა მუნდიალზე მესამე ადგილისთვის გრანდები ასპარეზობენ და ლიდერები არ თამაშობენ, აქაოდა, მესამე ადგილი არ გვეკადრებაო, მაროკოსა და ხორვატიისთვის კი მსოფლიოს ჩემპიონატის მედალი საამაყოა. ამიტომ, შეხვედრა დაძაბული გამოდგა და უფრო ძლიერმა, ხორვატიამ მოიგო. სხვათა შორის, ვერავინ იტყვის, რომ ხორვატებმა ეს შემთხვევით მოახერხეს, წინა მსოფლიოზე მათ სულაც ფინალი ითამაშეს. მაროკოელი ფეხბურთელები კი შინ მაინც თავაწეულები უნდა დაბრუნდნენ – ეს პირველი აფრიკული ნაკრებია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ამდენხანს შემორჩა.

ტალახაძემ მსოფლიოს ზემოდან მეექვსედ დახედა

ლეგენდარულმა ქართველმა ძალოსანმა, ლაშა ტალახაძემ მსოფლიოს ჩემპიონატი კარიერაში მეექვსედ მოიგო. უფრო ზუსტად კი, ზედიზედ მეექვსედ. ჩვენი გოლიათის და, ალბათ, ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენის წარმატება ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ... ბევრმა არ იცის, რომ ბოლო წლებში, ლაშა პირველად იყო ძალიან ახლოს მეორე ადგილთან. მეტიც, ბოლომდე არ იყო გადაწყვეტილი, შეძლებდა თუ არა ჩვენებური მსოფლიო პირველობაზე გამოსვლას.

ტრავმის გამო, ტალახაძეს ორი თვე გაუცდა, მერე კი, როცა ვარჯიში დაიწყო, ოქტომბრის ბოლოს ანუ ტურნირამდე 6 კვირით ადრე, მუხლის კუნთი დაიზიანა. მერე იყო გულის არითმიები, ექიმებთან გაუთავებელი სიარული, ულტრაბგერითი კვლევები, ელექტროსტიმულაცია, გაწელვები, მასაჟები, წამლები და... დიეტა, რომელმაც 180 კილოიანი გოლიათი 165 კილოზე დაიყვანა. არადა, სწორი კვება ასეთ წონაზე და თანაც ჩემპიონატის წინ აუცილებელია. და ყველაზე ცუდი – ჩემპიონატის მასპინძელი კოლუმბია და მისი დედაქალაქი ბოგოტა, ზღვის დონიდან 2500 მეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟანგბადის სერიოზული ნაკლებობაა, რასაც დაემატა დროის სარტყელის ცვლილება და სასტუმროში... მხოლოდ მშრალი მენიუ, რაც ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს. ეს ყველაფერი იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ლაშამ ტურნირი რეკორდების გარეშე მოიგო. ჰო, ახალი რეკორდები

ვერ დაამყარა ანუ ამჯერად, საკუთარ თავს ვერ აჯობა, არადა, ამას მისგან კი არ ველოდებით, უკვე მოვითხოვთ კიდეც, ვალდებულებაში ვუთვლით. ატაცში ტალახაძემ 215 კილოგრამი დაძლია, აკვრაში – 251 და ორჭიდის ჯამში მოპოვებული 466 ქულა ოქროს მედლისთვის ეყო. არადა, მისი საუკეთესო შედეგი 492 კილოგრამია, მაგრამ ახლა ესეც სასწაული იყო, სასწაული, სახელად ტალახაძე!

დაიწყო – კვარაცხელიას სანაცვლოდ, „ნიუკასლი“ 50 მილიონ ფუნტს ჩამოვიდა

1 იანვარს, ზამთრის სატრანსფერო სეზონი იხსნება და ყველა თანხმდება, რომ კლუბების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე „ნაპოლის“ ფეხბურთელები იქნებიან. ლუჩანო სპალეტის გუნდი მართლაც საოცარ ფეხბურთს თამაშობს და ყველას სურს, რომ გუნდის ლიდერები დაიმატოს. ადვილი მისახვედრია, რომ სამიზნეში ხვიჩა კვარაცხელიაც ამოღებულია და აგერ, პირველი შეთავაზება უკვე გაკეთდა – ინგლისური „ნიუკასლი“ მზად არის, ხვიჩა ამ ზამთარსვე წაიყვანოს და მის სანაცვლოდ, 50 მილიონ ფუნტსაც იხდის. პრემიერლიგული კლუბი ამბიციური მას შემდეგ გახდა, რაც მფლობელი შეეცვალა და დიდი ინვესტიციები ჩაიდო. მეტიც, „ნაიუკასლს“ წელს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს და 15 ტურის შემდეგ, ჩემპიონატში მესამე ადგილზე იმყოფება. ამის მიუხედავად, ხვიჩა „ნიუკასლისთვის“ ნამდვილად არ გვემეტება, რადგან მას ბევრად დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებთ. რაც შეეხება „ნაპოლის“ პოზიციას...

„თანხა სოლიდური და შეიძლება მაცდუნებელიც კი არის, მაგრამ მერწმუნეთ, რა თანხაც არ უნდა შემოგვთავაზონ კვარაცხელიას სანაცვლოდ, მიზერული შანსიც კი არ არსებობს, რომ ჩვენ ის გუნდიდან გავუშვათ“, – განაცხადა ნეაპოლური კლუბის სპორტულმა დირექტორმა, კრისტიანო ჯუნტოლიმ.

იტალიური მედია კი წერს, რომ იანვარში ქართველი შემტევი „ნაპოლისგან“ კონტრაქტის გახანგრძლივებისა და ხელფასის გაორმაგების თაობაზე, ახალ წინადადებას მიიღებს, თუმცა მთავარი კონტრაქტის პირობებში კიდევ ერთი პუნქტის ჩასწორება იქნება – ქართველის გამოსასყიდი ფასი დღეს არსებული 30 მილიონის ნაცვლად, 100 მილიონი ევრო იქნება.

„ფიბამ“ დაგვსაჯა – თურქის ცემა არ გვაპატიეს

2022 წლის ევრობასკეტის შეხვედრაში, საქართველოსა და თურქეთს შორის ინციდენტი მოხდა. თურქ კალათბურთელ ფურკან კორკმაზსა და ჩვენს დუდა სანაძეს შორის მომხდარ შელაპარაკებას, თურქთა მტკიცებით, გაგრძელება გასახდელისკენ მიმავალ გზაზე მოჰყვა და როგორც კორკმაზი ამტკიცებდა, მას ნაკრების სამი კალათბურთელი – სანაძე, თორნიკე შენგელია და გოგა ბითაძე ფიზიკურად გაუსწორდა. მაშინ ქართული მხარე მომხდარს უარყოფდა, „ფიბამ“ კი გამოძიება დაიწყო და კამერების ჩანაწერებიც ამოიღო. ჰოდა, ვერდიქტი ახლა დადგა. მაშ ასე:

დუდა სანაძე – დაჯარიმდა 3 ათასი შვეიცარიული ფრანკით და 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით. სამი წლის განმავლობაში, მსგავსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, დუდა 1 ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს და ახალ სანქციებს მიიღებს.

თორნიკე შენგელია – დაჯარიმდა 5 ათასი შვეიცარიული ფრანკით და სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. სამი წლის განმავლობაში, მსგავსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, თორნიკე 2 ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს და ახალ სანქციებს მიიღებს.

გოგა ბითაძე – დაჯარიმდა 15 ათასი შვეიცარიული ფრანკით და სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. სამი წლის განმავლობაში, მსგავსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, გოგა 5 ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს და ახალ სანქციებს მიიღებს.

ფურკან კორკმაზი – დაჯარიმდა 6 ათასი შვეიცარიული ფრანკით და სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. სამი წლის განმავლობაში, მსგავსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, კორკმაზი 3 ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს და ახალ სანქციებს მიიღებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაჯარიმდა 40 ათასი შვეიცარიული ფრანკით, ხოლო თურქეთის კალათბურთის ფედერაცია ჯარიმის სახით 15 ათას ფრანკს გადაიხდის. როგორც ჩანს, ჩანაწერში, რომელიც ფიბა-მ წაიღო, ჩანს რაღაც, რაც მხოლოდ ქართველების დანაშაულზე არ მიუთითებს.

ფეხბურთმა მიხაილოვიჩი დაკარგა

53 წლის ასაკში, ძალიან კარგი ფეხბურთელი და პიროვნება, სინიშა მიხაილოვიჩი გარდაიცვალა. მან 2019 წელს გამოაცხადა, რომ ლეიკემიით იყო დაავადებული, მაგრამ დანებებას არ აპირებდა და აგერ, სამი წელი იბრძოლა. კარიერის უდიდესი ნაწილი მან იტალიაში გაატარა და სამწვრთნელო კარიერასაც იქ ეწეოდა, იქვე გარდაიცვალა და იქვე დაკრძალავენ, რადგან მისი ოჯახი და შვილები იქ დაფუძნდნენ. მიხაილოვიჩის მშობლიური ქალაქი, ვუკოვარი კი...

„მე ვუკოვარში დავიბადე, ჩემთვის ყველაზე ლამაზ ქალაქში, მაგრამ ის ომის სიმბოლოდ გადაიქცა და ჩვენი ოჯახი იძულებული გახდა იქიდან გამოქცეულიყო. სრული სიგიჟე ხდებოდა – ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, თავისიანებისთვის ერთგულება რომ დაემტკიცებინა, სახლი გადამიწვა, დედაჩემის ძმა, რომელიც ხორვატი იყო, მამაჩემს მოკვლით ემუქრებოდა და მე ეს სიგიჟე გამოვიარე. მერე იყო კარიერია, სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობა და ახლა, როცა უკან ვიხედები, საკუთარ თავს ვეკითხები – სინიშა, რამდენი სიცოცხლით გიცხოვრია?!“ – ეს სიტყვები მიხაილოვიჩმა მაშინ თქვა, როცა გაიგო, რომ ლეიკემია ჰქონდა.

და ერთიც – ერთხელ მიხაილოვიჩს მანქანა მოპარეს და ამის შესახებ მან იმავე დღეს ტელევიზიით განაცხადა. დილით სახლთან მანქანა დახვდა წარწერით – „გვაპატიე სინიშა, არ ვიცოდით, რომ ავტომობილი შენი იყო. მოპარვის დროს საქარე მინა გავტეხეთ და გამოვცვალეთ, გავრეცხეთ, ბაკიც სავსეა“.

850 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში – სამართლებრივი რეაგირების შედეგი სახელმწიფო აუდიტის დასკვნებზე

მაკა რუხაძე

2021 წელს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 19 ანგარიში გადააგზავნა. როგორც ცნობილია, ქვეყნის მთავარი მაკონტროლებლების მიერ გამოვლენილ დარღვევებზე სამართლებრივი რეაგირება უკვე დაწყებულია. გამოძიების დასრულებისთანავე გაირკვევა, რა ოდენობის თანხა შევა სახელმწიფო ბიუჯეტში და რომელი ჩინოვნიკი გამოემშვიდობება საკუთარ კაბინეტს. მაგალითად, 2018-2021 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებზე სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში 850 000 ლარი შევიდა. 2018-2021 წლებში აუდიტის სამსახურმა სულ 269 ანგარიში აუდიტი ჩაატარა, მათგან 114 ანგარიში პროკურატურაში გადაიგზავნა. 2018-2021 წლების აუდიტის ანგარიშების 42% სავარაუდო სამართალდარღვევას შეიცავდა.

რომელი 19 ანგარიში გადაუგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გენერალურ პროკურატურას

როგორც აღვნიშნეთ, 2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პროკურატურას 19 ანგარიში გადაუგზავნა. გადაგზავნილი ანგარიშების 68% საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირება და მიღწეული შედეგებიც აისახა.

მეტიც, გენერალურმა პროკურატურამ გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში – 2018-2021 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების შესახებ. ამ ანგარიშის მიხედვით, აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და პროკურატურის გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს აუნაზღაურდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი – 850 ათასი ლარი.

19 ანგარიში, რომლებიც 2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა:

- შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;
- თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების 2017-2018 წლების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტის მასალები; თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემური შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისათვის;
- გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის მასალები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშის მასალები.

ეს ანგარიშები „ვერსიაში“ დეტალურად უკვე განვიხილეთ, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ დარღვევები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, ძირითადად, ეხება ისეთ მუხლებს, როგორებიცა მითვისება ან გაფლანგვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, თაღლითობა და სამსახურებრივი გულგრილობა. დარღვევები სისტემური ხასიათის ნაკლოვანებებს მოიცავს და უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური, არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებს, ასევე, შესყიდვებისა და აქტივების მართვის ნაკლოვანებებს.

ჩაი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ერთკილოგრამიანი მწვანე ჩაი, რომელიც იაპონიის ცენტრალურ ნაწილშია მოყვანილი, აუქციონზე 1 960 000 იენად (15 500 დოლარად) გაიყიდა. ეს აბოლუტური რეკორდია მსგავსი აუქციონების ისტორიაში. ვაჭრობები ყოველწლიურად ტარდება აპრილში, ქალაქ სიძუოკაში, რომლის მახლობლადაც არის განთავსებული ამომავალი მზის ქვეყნის ჩაის საუკეთესო პლანტაციები. დეგუსტაციის შემდეგ, სასმელის მცოდნეებმა აღნიშნეს, რომ რეკორდულ ფასად ნაყიდი მწვანე ჩაი უნიკალური ინტენსიური გემოთი და არომატით გამოირჩევა. ზოგადად, იაპონია ცნობილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აუქციონებით, სადაც ფასების არაერთი რეკორდი დაფიქსირებულა.

ხეებს ელ-ფოსტა გაუხსნეს

ავსტრალიაში, მელბურნის საქალაქო სამსახურმა ყოველ ხეს საკუთარი ელექტრონული მისამართი შეუქმნა. ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ქალაქის მცხოვრებლებმა შეძლონ კონკრეტული ხის პრობლემები მიაწოდონ ხელისუფლებას, მაგალითად, გამხმარი და საშიშად ჩამოკიდებული ტოტების შესახებ. Urban Forest-ის მონაცემთა ბაზა ქალაქის მომსახურების ჩვეულებრივი ციფრული სისტემა უნდა ყოფილიყო, თუმცა ბევრმა მელბურნელმა ხეებისთვის წერილების წერა დაიწყო, სადაც მათ მიმართ პატივისცემას, სიყვარულსა და აღფრთოვანებას გამოახატავენ. აქაურ ხეებს წერილები შორეული მოძმეებისგანც მოსდით.

2023 წლის იღბლიანი ფერები

ამბობენ, სწორად შერჩეულ ფერებს წარმატებისა და სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეუძლიაო. ჩინური კალენდრის მიხედვით, 2023 წელი კურდღლის წელია, კურდღელი კი მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლოა. ჩინური „ხუთი ელემენტის“ თეორიის მიხედვით, 2023 წლის ყველაზე იღბლიანი ფერები ხისა და წყლის ელემენტებით განისაზღვრება, ამიტომ მომდევნო წლის ყველაზე პოპულარული ფერები მწვანე და ლურჯია, თუმცა წითელი და ვარდისფერიც 2023 წლის იღბლიან ფერებად ითვლება.

მწვანე – ცნობილია, რომ ჩინეთში მწვანე ფერი სიმდიდრესთან, ნაყოფიერებასთან და ჰარმონიასთან ასოცირდება. მათი რწმენით, ეს ფერი ადამიანს სიმშვიდის შენარჩუნებასა და სტრესის შემცირებაში ეხმარება. 2023 წლის ყველაზე იღბლიან ფერად, სწორედ მწვანე ითვლება.

ცისფერი – მდინარესთან და მოძრაობასთან ასოცირდება. ჩინური რწმენის მიხედვით, იგი კომუნიკაციის სიმბოლოდ ითვლება, რომელიც ახალ, საინტერესო და სასიკეთო ინფორმაციას იზიდავს. წარმატებისა და აღიარების მომტანი იქნება ახალ წელს ცისფერი ან მუქი ლურჯი სამოსის ტარება.

ვარდისფერი – რომანტიკის, სასიყვარულო ურთიერთობის ფერია. თუ გსურთ, რომ ახალი ურთიერთობები მოიზიდოთ, ახალი წლის ღამეს ამ ფერის სამოსი ნამდვილად დაგეხმარებათ.

წითელი – ენერგიასთან და პროგრესთან ასოცირდება. ამ ფერს საკმაოდ დიდი წარმატება მოაქვს კარიერასა და ძალაუფლების მოპოვებაში, ამიტომ მათთვის, რომლებისთვისაც კარიერული წინსვლა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, წითელი ნამდვილად იღბლიანი ფერი იქნება.

„ჯოჯოხეთის კარიბჭე“ გაიხსნა

უჩვეულო მოვლენის მოწმენი გახდნენ ბერიესის ტბის მნახველები, რომელიც კალიფორნიაში, ნაპას ხეობაში მდებარეობს. წყლის ზედაპირზე კოლოსალური – 22-მეტრიანი დიამეტრის ორმო გაჩნდა, რომელსაც ადგილობრივი მედიის ჟურნალისტებმა „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ დაარქვეს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, უცნაურ მოვლენას გასაგები ახსნაც აქვს. საქმე ის არის, რომ ტბის ფსკერზე გვირაბია, რომლის სიგანე 22 მეტრია, სიგრძე კი – 75 მეტრი. ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გაიყვანეს. გვირაბი მაშინ იხსნება, როცა წყლის დონე ტბაში თითქმის ხუთ მეტრს აღწევს. ის დრენაჟის ფუნქციას ასრულებს. ბერიესში წყლის მოცულობის ზრდის მთავარი მიზეზი კი ძლიერი სეზონური წვიმებია.

როგორ შევხვდეთ 2023 წელს?

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ სახლი ზედმეტი, ძველი ნივთებისაგან გაათავისუფლოთ. კურდღელი მეოჯახე ნიშანია, ამიტომ უყვარს, როცა სახლში სიმყუდროვე და ჰარმონიაა. თუმცა, ასტროლოგები გვირჩევენ, რომ დასუფთავება მაინცდამაინც ახალი წლის დღეს არ დავიწყოთ.

უმჯობესია, ეს საქმე წინა დღეებში მოვაგვაროთ. ჩინური ტრადიციის თანახმად, ახალ წელს დასუფთავება დაუშვებელია, რადგან ეს სიმდიდრისა და იღბლის სახლიდან გატანის სიმბოლოა.

სჯობს, მომდევნო წლის შემობრძანება სახლში, ოჯახურ გარემოში აღნიშნოთ. კურდღელს, სახლის გარემო განსაკუთრებულად უყვარს და თუ ახალ წელს სახლში შეხვდებით, შეძლებთ, წარმატება მოიზიდოთ. მნიშვნელოვანია, თუ მოახერხებთ და ახალი წლის ღამეს, მთელი ოჯახი სადღესასწაულო მაგიდასთან შეიკრიბებით.

მოირგეთ წლის მთავარი ფერები და ისე შეხვდით ახალ წელს. მაგალითად, შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი, თეთრი, ცისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ვარდისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი სამოსი. განსაკუთრებით პოპულარულია ბრჭყვიალებიანი და ბუმბულიანი ელემენტები.

ასტროლოგების თქმით, თუ გსურთ, მომდევნო წელი თქვენთვის წარმატებული იყოს, ოთახში, სადაც ახალი წლის შემოსვლას აღნიშნავთ, ბევრი ხის ნივთი იქონიეთ. გახსოვდეთ, ახალი წლის ღამეს კურდღლის ხორცის კერძი არ მოამზადოთ და მით უფრო, არც სუფრაზე მიიტანოთ, რადგან წლის მთავარი სიმბოლო – კურდღელი არ გაანაწყენოთ.

რაც შეეხება საახალწლო საჩუქრებს, კურდღელს განსაკუთრებით გამოყენებადი და საჭირო ნივთების ჩუქება უყვარს. ამიტომ, თუ საყვარელი ადამიანისათვის საჩუქარს ეძებთ, ამით იხელმძღვანელეთ.

„სპაიდერმენის“ ფანი რეკორდსმენი გახდა

აშშ-ის მცხოვრებმა, რამირო ალანისმა, კინოთეატრში ერთი და იგივე ფილმის ნახვების რაოდენობით, რეკორდი დაამყარა. გინესის რეკორდების წიგნის საიტზე ნათქვამია, რომ მან ბლოკბასტერს „ადამიანი-ობობა: გზა სახლისკენ არ არის“, 292-ჯერ უყურა. ამ კატეგორიაში ალანისი 2019 წელსაც გახდა რეკორდსმენი ფილმის – „შურისმაძიებლები: ფინალი“ ნახვებით. ორი წლის შემდეგ მისი შედეგი ფრანგმა არნო კლიაინმა გააუმჯობესა, რომელმაც „კამელოტი: მეფის დაბრუნება“ 204-ჯერ ნახა. რეკორდების წიგნის მიხედვით, მონაწილემ ფილმი კინოთეატრში უნდა ნახოს მთლიანად, ტიტრების ჩათვლით, არ უნდა გავიდეს დარბაზიდან და არ ისარგებლოს სმარტფონით. წესების დარღვევის გამო, ალანისს ფილმის 11 ნახვა არ ჩაუთვალეს.

კბილის ჯაგრისი გადაყლაპა



44 წლის ტაივანელმა ქალმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, შემთხვევით გადაყლაპა კბილის 18-სანტიმეტრიანი ჯაგრისი, რაც სპეციალისტების შეფასებით იმის ბრალია, რომ მას არასწორი კუთხით იყენებდა. ქალი სამსახურში აგვიანებდა და რაკიღა დაღლილიც იყო, ექიმთან მაშინვე არ წავიდა. მიუხედავად ამხელა დისკომფორტისა, მან მთელი დღე იმუშავა, სამედიცინო დახმარებისთვის კი კლინიკას მხოლოდ სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მიაკითხა. პაციენტს რენტგენი გადაუღეს, მაგრამ ჯაგრისი არ გამოჩნდა. ენდოსკოპიამ კი აჩვენა, რომ უცხო სხეული საყლაპავში იყო გაჩხერილი, მის გარშემო ქსოვილში ანთებითი პროცესი იყო დაწყებული. ექიმების თქმით, კბილის ჯაგრისს კუჭში რომ ჩაეღწია და იქ გაჭედილიყო, დიდი ალბათობით, მას გახეთქავდა. პაციენტს გაუმართლა და ის უცხო სხეულისგან ქირურგიული ჩარევის გარეშე გაათავისუფლეს.

წვეულების გამო თანამშრომლებს უჩივლა

აშშ-ში, კენტუკის შტატში მდებარე კომპანია Gravity Diagnostics-ის ყოფილმა თანამშრომელმა, კევინ ბერლინგმა საკუთარ დამსაქმებელს სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ მთელმა ოფისმა, მას დაბადების დღე მიულოცა. მამაკაცმა კოლეგები წინასწარ გააფრთხილა, რომ მისთვის, სხვა თანამშრომლების მსგავსად, არანაირი დღესასწაული არ მოეწყოთ, რადგან შფოთვითი აშლილობა აქვს და ყურადღების ცენტრში ყოფნა სტრესში აგდებს. მაგრამ კოლეგებმა იუბილარის თხოვნა არ გაითვალისწინეს, შესვენებაზე მას პატარა წვეულება მაინც მოუწყვეს და დაბადების დღე მიულოცეს. ისინი ბერლინგისგან ასეთ მძიმე რეაქციას არ მოელოდნენ: იუბილარს პანიკური შეტევა დაეწყო, ოფისიდან გაიქცა და თავი საკუთარ ავტომობილს შეაფარა. ცოტა დაწყნარებულს და უკან დაბრუნებულს თანამშრომლებმა უსაყვედურეს, რომ „დღესასწაული ჩააშხამა“, მოგვიანებით კი კევინი სამსახურიდანაც გაუშვეს. სასამართლომ კომპანიას ბერლინგისთვის 450 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა: 300 ათასი – მისთვის მიყენებული ემოციური სტრესის გამო, 150 ათასი კი – ხელფასის ასანაზღაურებლად.

ძვირფასი ვიოლინო ნაგავში იპოვა

საფრანგეთის დედაქალაქში, ნაგვის ურნასთან, ერთმა ქალმა ძვირფასი ვიოლინო იპოვა. ინსტრუმენტის ღირებულება 100 ათას ევროს შეადგენს. ის გასულ წელს, ელისეს მინდვრების ორკესტრის მუსიკოსს, ენრიკოს ტედეს მოპარეს, როცა ის მატარებლით გასტროლებზე მიემგზავრებოდა. როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, ქურდმა ანტიკვარული ვიოლინოს მყიდველი ვერ იპოვა, რადგან ის ადვილად ამოსაცნობია – ინსტრუმენტი XIX საუკუნის ვენეციელი ოსტატის, ჯულიო დეგანის ნახელავია. პოლიციამ ნაპოვნი ნივთი მუსიკოსს დაუბრუნა. მპოვნელმა კი ფულად ჯილდოზე უარი განაცხადა და მხოლოდ პარიზში ორკესტრის მომდევნო კონცერტის მოსაწვევები მიიღო საჩუქრად.

ხის ცათამბჯენს ააშენებენ

შვეიცარიაში, ქალაქ ვინტერტურში, ხის ცათამბჯენს – Rocket&Tigerli-ს ააშენებენ. ის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხის შენობა იქნება. შენობა ოთხი, სხვადასხვა სიმაღლის კორპუსს მოიცავს, ერთ-ერთი მათგანის სიმაღლე 100 მეტრი იქნება. ამჟამად, ყველაზე მაღალი ხის შენობა ნორვეგიაში მდებარე მიოსტორნეტის კოშკია, რომლის სიმაღლეც 85.4 მეტრია. ახალ, შვეიცარიულ პროექტზე დანიური ბიურო Schmidt Hammer Lassen-დან მუშაობენ არქიტექტორები, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად. ვარაუდობენ, რომ ხის ცათამბჯენი 2026 წლისთვის აშენდება. მას ყოფილი სარკინიგზო ქარხნის ადგილას განათავსებენ, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ სივრცეს, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს, რესტორანსა და ბარს, სავაჭრო ფართებსა და სასტუმროს.

მიკი რურკმა ქონება უკრაინელს უანდერძა

ამერიკელმა მსახიობმა, მიკი რურკმა გადაწყვიტა, მთელი თავისი ქონება, სიკვდილის შემდეგ, მის დამხმარეს, უკრაინელ დმიტრი კორნეიჩუკს დაუტოვოს. „ყველაფერს დიმას ვუტოვებ, აბსოლუტურად ყველაფერს, – განაცხადა მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში – სიკვდილის არ მეშინია, თავად პროცესის შიში მაქვს“.

უკვე რვა წელია, რაც კორნეიჩუკი ჰოლივუდელ ვარსკვლავთან მუშაობს. ცნობილია, რომDდმიტრი უკრაინაში, ტელევიზიაში მუშაობდა. ამერიკაში ჩასვლისას, სამსახური ვერ იშოვა, რურკი კი შემთხვევით გაიცნო, როცა ის ასისტენტს ეძებდა. რვაწლიანი თანამშრომლობის პერიოდში, მამაკაცები დამეგობრდნენ.

მანქანა უმტკივნეულო სიკვდილისთვის

ავსტრალიელმა ექიმმა ფილიპ ნიტშკემ, რომელიც ევთანაზიის მომხრეა, ჰოლანდიელ ინჟინერ ალექსანდრ ბანიკთან ერთად, მანქანა-კაფსულა შექმნა, სახელწოდებით – შარცო. ის უიმედო ავადმყოფებს სწრაფად და უმტკივნეულოდ სიკვდილში დაეხმარება. თავად მოწყობილობა სამგამზომილებიან პრინტერზე იბეჭდება. ის მოსახსნელი კაფსულისა და თხევადი აზოტით სავსე ბოცასგან შედგება. აპარატში ათავსებენ პაციენტს, შეჰყავთ ოთხნიშნა სააქტივაციო კოდი და კაფსულის შიგნით თხევადი აზოტი იწყებს შესვლას. სიკვდილი უკვე რამდენიმე წუთში ფიქსირდება, ჟანგბადის უკმარისობის გამო. ამ დაახლოებით ხუთწუთიანი პროცედურის შემდეგ, კლიენტს შეუძლია ამ კაფსულითვე დაიმარხოს, თუკი ამის სურვილი ექნება. მოწყობილობის ავტორების თქმით, „სიკვდილის მანქანაში“ არის „პანიკის ღილაკი“, თუკი პაციენტი იმ მომენტში გარდაცვალებას გადაიფიქრებს. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი ტექნოლოგიით შვეიცარია დაინტერესდება, რადგან იქ 50-ზე მეტი კლინიკაა, სადაც ევთანაზია დაშვებულია.

საპატარძლოს გამოსყიდვა აკრძალეს

ჩინეთის ჰენანის პროვინციაში, საპატარძლოს გამოსასყიდად, დიდი თანხის გადახდა მის მონობაში გაყიდვას გაუთანაბრეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განჩინება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, მზითევი, რომელსაც ჩინეთში, გოგოს მშობლებს სიძის მხარე უხდის, 20 ათას იუანზე (3 ათასი დოლარი) ძვირი არ უნდა იყოს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, გამოძიება ჩატარდება, გარიგება კი ადამიანებით ვაჭრობად და თაღლითობად ჩაითვლება. ხელისუფლება დაარეგულირებს ქორწინების პროცესსაც: სუფრას, მის წევრებს და მანქანების რაოდენობას. ადგილობრივი ჩინოვნიკების თქმით, ასეთი ღონისძიებებით აღკვეთენ თაღლითობას, რომელიც პატარძლის დიდ გამოსასყიდს უკავშირდება.

სასიკვდილო ვახშამი განაწყენებული მზარეულისგან

ინდოეთის ერთ-ერთი მცხოვრები ქალბატონი იმის გამო დააპატიმრეს, რომ ნათესავების გამუდმებული დაცინვით განაწყენებულმა, ისინი მოწამლული ვახშმით გამოკვება. 23 წლის პრადნია სურვეიზის სასიკვდილო ვახშმის შედეგად, მისი ხუთი ნათესავი გარდაიცვალა. გოგონამ აღიარა, რომ ზოგიერთ კერძში გაურია ფხვნილი, რომელსაც გველების დასახოცად იყენებენ. სამართალდამცავების თქმით, სურვეიზი ქმრისა და ოჯახის იმ წევრების მოკვლას აპირებდა, რომლებიც ორი წლის განმავლობაში, გამუდმებით მასხრად იგდებდნენ მის კულინარიულ შესაძლებლობებს. ვახშამზე, რომელიც დამნაშავის ახლობელმა მოაწყო, 120 ადამიანი იყო მიწვეული. მათგან 88 მოგვიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. გარდაცვლილთაგან სამი ბავშვი იყო. პოლიციაში ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ, სურვეიზმა აღიარა, რომ მკვლელობა განზრახ ჩაიდინა.

ხორცისმჭამელები დიდხანს ცოცხლობენ

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ხორცის მოხმარებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის კავშირი შეისწავლა. სწავლულებმა ავსტრალიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და პოლონეთიდან, მსოფლიოს 175 ქვეყნის მცხოვრებლების მონაცემები გააანალიზეს. მათი თქმით, ხორცის ჭამასა და დაავადებებს შორის ირიბი კავშირია, რაც ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა და რამაც საფუძველი ჩაუყარა ვეგეტარიანებლობასა და ვეგანობას. არსებობს მოსაზრებაც, რომ ვეგეტარიანელები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან. მკვლევართა ჯგუფმა ეს ჰიპოთეზა შეამოწმა და გაარკვიეს, რომ ნახშირწყლოვანი კულტურებიდან (მარცვლეული და ბოლქვოვნები) ენერგიის მოხმარება არ იწვევს სიცოცხლის გახანგრძლივებას. პირიქით, ხორცის ზომიერი მოხმარება უფრო უკავშირდება დღეგრძელობას. ადამიანი ხორციან საკვებს მიჩვეულია და მას თითქმის ორი მილიონი წელია მოიხმარს, – აცხადებენ მკვლევარები. ნახშირწყლოვან პროდუქტებს კი გაცილებით ნაკლები კვებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ხორცს. ხორცში არსებული კომპონენტები ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას.

ახალი წამალი კიბოს წინააღმდეგ

ამერიკელმა ონკოლოგებმა შეძლეს ისეთი ნაერთის მიღება, რომელიც ბლოკავს სიმსივნური უჯრედების გადაადგილებას ორგანიზმში. სწავლულებმა ორეგონის უნივერსიტეტიდან, შექმნეს წამალი, რომელიც საწყის სტადიაზე კიბოს ოთხი სახეობის გავრცელებას ბლოკავს. ახალი პრეპარატი – KBU2046, ეფექტიანად მოქმედებს სარძევე და წინამდებარე ჯირკვლის, ასევე ფილტვისა და სწორი ნაწლავის კიბოს დროს. ის უკვე გამოსცადეს მღრღნელებზე – წამალმა შეაჩერა მეტასტაზები და შეამცირა ძვლის დაშლა. ცდების შემდეგი ეტაპი კლინიკურია და თუ ისიც წარმატებით ჩაივლის, ავტორები იმედოვნებენ, რომ სულ მალე, ახალი პრეპარატით ადამიანების სიცოცხლეს გადაარჩენენ.

აქლემის რძე ბავშვთა საკვებში

კომპანიამ არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან ჩამელიციოუს, რომელიც აქლემის რძისგან 40-ზე მეტი სახეობის პროდუქტს აწარმოებს, კიდევ ერთი სიახლე წარადგინა ამ ინგრედიენტის გამოყენებით – ეს ბავშვთა კვებაა. ფირმის წარმომადგენლების განცხადებით, ის პატარების ჯანმრთელობისთვის სასარგებლოცაა და უსაფრთხოც, ბავშვებს ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ენერგიას აძლევს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, აქლემის რძე თავისი უნიკალური შემადგენლობით გამოირჩევა – ის ათჯერ უფრო მეტ რკინასა და 3-5-ჯერ მეტ „ცე“-ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ძროხის რძე. ამასთან, ცხიმიანობა 2-ჯერ ნაკლებია. არაბი სპეციალისტების თქმით, ისინი ცდილობენ შეამცირონ შაქრის შემცველობა საკუთარ პროდუქციაში, რათა ჯანმრთელობისთვის კიდევ უფრო სასარგებლო გახდეს.

თეთრი ღვინო ქალებს აბედნიერებს

ესპანელმა სწავლულებმა მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან გარკვიეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, როცა თეთრ ღვინოს მიირთმევენ. ჩატარებული კვლევებისას დადგინდა, რომ ხილისა და ყვავილოვანი თეთრი ღვინოები აძლიერებს ისეთ ემოციებს, როგორებიცაა სიხარული და ბედნიერება. წითელი ღვინის მოხმარება კი, შესალოა, უკავშირდებოდეს აგრესიას და დანაშაულის გრძნობას. ასეთი დასკვნების გაკეთება სპეციალისტებმა ექსპერიმენტის შემდეგ შეძლეს, რომელშიც 200-ზე მეტი ქალბატონი მონაწილეობდა. მათ ექვსი თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო დააგემოვნეს და ამ სასმელებით მიღებული ემოციები აღწერეს. შედეგად გაირკვა, რომ ბედნიერების შეგრძნებას ყველაზე მეტად თეთრი ღვინო იწვევს.

კბილების სრული აღდგენა შესაძლებელია

იაპონელმა სწავლულებმა ჰოკაიდოს უნივერსიტეტიდან, კბილების მკურნალობის უნიკალური ტექნოლოგია შეიმუშავეს. მათ სპეციალური ქიმიური ნაერთი გამოიგონეს, რომელსაც საფუძვლად უდევს ცილები – კოლაგენი და ფოსფოფორინი. ექსპერიმენტის მსვლელობისას, მედიკოსებმა ფხვიერი ცილოვანი მასა საცდელი ძაღლის კარიესით დაზიანებულ კბილში მოათავსეს. სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, მეცნიერებმა დენტინის (ნივთიერება, რომელიც კბილის საფუძველს ქმნის) სრული აღდგენა დააფიქსირეს. სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან, აპირებენ, ნივთიერების გამოცდა ადამიანებზე მოკლე ვადებში ჩაატარონ. სავარაუდოდ, ახალი ნაერთის პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელი უკვე ხუთი წლის შემდეგ გახდება.

„შოკოლადის“ წიწაკა – ყავით

კანადურმა კომპანია – Zing! Healthy Foods ბულგარული წიწაკის მეტად უჩვეულო სახეობა გამოიყვანა, რომელიც გამოირჩევა შოკოლადივით ფერითა და უჩვეულო სიტკბოთი – ყავის ნოტებით. მიუხედავად ამ არასტანდარტული გემობრივი თვისებებისა, წიწაკის ვიტამინური შემადგენლობა უცვლელი დარჩა – მასში კვლავ დიდი რაოდენობითაა „ცე“-ვიტამინი და ასევე, მეტად იშვიათი „პე“-ვიტამინი, რომლის წყალობითაც აითვისება ასკორბინის მჟავა. ცნობილია, რომ „შოკოლადის“ წიწაკა სათბურებში მოჰყავთ და პრემიუმ-კლასის პროდუქტად მიიჩნევა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.